საკმო ბაჯი

№42 (634)
ოთხშაბათი
17 ნოემბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.



ირაკლი კობახიძე:

ქართული სახელმწიფო ვერ ითანამშრომლებს ადამიანებთან, რომლებიც ამ სახელმწიფოს სახელმწიფოდ არ ცნობენ

კობა არაბული:

უფლებააყრილი ერი და სატანისტური ბულინგი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ

სააკაშვილს ღირსება რომ გააჩნდეს, „ნაცმოძრაობას“ თავისი პოლიტიკური ლეშისგან გაათავისუფლებდა და განახლების საშუალებას მისცემდა

შავი ფული, შავბნელი „ნაცმოძრაობა“ და საქართველოს შავი ღამე, რომლის გათენებასაც საშველი არ დაადგა

როგორ ბედავენ ვიღაც „ნასედკები“ და სუკის აგენტები სააკაშვილს ზვიად გამსახურდიას რომ ადარებენ?

ამიერიდან, აღარ აქვს მნიშვნელობა, სააკაშვილი ციხეში დარჩება, გამოიყვანენ, ქვეყნიდან წაიყვანენ - სააკაშვილი დამთავრებულია!

მიშა სააკაშვილი საქართველოში ტრაილერით მერაბიშვილმა შემოგზავნა, ჟორიკა რურუამ კი „გადააგდო“ და „ძვირფას სტუმარს“ არ დახვდა

აქა ამბავი მიხეილ თრეულისა

მიშმადიანური პოეზიის საწყისებთან

პროვოკატორები

რედაქტორის სვეტი

ვახტანგ ხარჩილავა:

„თავისუფლების მანიფესტი“, „თავისუფლების ქარტია“, „თავისუფლების დეკლარაცია“ — ამ სამი სათაურიდან სამივე შეიძლება დაარქვა ირაკლი კობახიძის წერილს, რომელიც ამასწინათ სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა.

სიმართლე გითხრათ, მე, როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე, როგორც ადამიანი, რომლისთვისაც სულერთი არ არის ამ ქვეყნის ბედი, ოცდაათი წელი ველოდებოდი საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლებებიდან იმ პოზიციის ხმამაღლა და ნათლად გამოხატვას, რომელიც ამ წერილშია დაფიქსირებული.

ეს წერილი არის ერთგვარი შეჯამება იმისა, რისთვისაც ქართველი ერი ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში იბრძოდა და იბრძვის დღემდე.

ეს წერილი არის დაბრუნება იმ სათავეებთან, საიდანაც დაიწყო საქართველოს დიდი ეროვნული მოძრაობა თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის.

სამწუხაროდ, კონფორმიზმის, ქვეშევრდომული კომპლექსების, ვიწრო პარტიული ინტერესების, კარიერისტული ეგოიზმის და სხვა მრავალ მიზეზთა გამო საქართველო თანდათან კარგავდა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ხარისხს.

თითქოს დაგვავიწყდა, რომ დამოუკიდებლობა არ არის მხოლოდ ერთჯერადი აქტი — დამოუკიდებლობისთვის მუდმივად უნდა იბრძოლო, დამოუკიდებლობა ყოველდღიური შრომით და თავდადებით უნდა მოიპოვო.

საქართველო ამ ცხრა წლის წინათ ნაკლებად ჰგავდა სუვერენულ სახელმწიფოს.

მხოლოდ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, როცა ბიძინა ივანიშვილისა და ქართველი ხალხის თავგანწირვის შედეგად შესაძლებელი გახდა „ნაცმოძრაობის“ ჩამოშორება ხელისუფლებიდან, საქართველომ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო შელანძღული სუვერენიტეტის აღდგენის პროცესი.

ქვეშევრდომული დამოკიდებულებიდან პარტნიორულ ურთიერთობამდე — ასეთია გზა, რომელსაც დღეს საქართველო ადგას.

ირაკლი კობახიძის ეს წერილი სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანეს იმდენ საკითხს შეიცავს, ვფიქრობთ, ის აუცილებლად უნდა გახდეს ქართველი საზოგადოებს დისკუსიის და მსჯელობის საგანი.

ირაკლი კობახიძე: ქართული სახელმწიფო ვერ ითანამშრომლებს იმ ადამიანებთან, რომლებიც კრიმინალების სასარგებლოდ პოლიტიკური მიკერძოების გამო, ამ სახელმწიფოს სახელმწიფოდ არ ცნობენ

„ქართული პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა მართლმსაჯულების პოლიტიზების გამუდმებული მცდელობა, რომელშიც ოპოზიციის რადიკალურ ნაწილთან და მასთან დაკავშირებულ პარტიულ მედიასაშუალებებთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სამწუხაროდ, ჩართული არიან რადიკალური ოპოზიციის უცხოელი ლობისტებიც, რომელთა ნაწილი პოლიტიკური სტატუსის მატარებელია. მართლმსაჯულების პოლიტიზების ყველაზე ნათელი გამოხატულება იყო მათი ძალისხმევის შედეგად 2020–21 წლებში სამი დამნაშავის – გიგი უგულავას, ნიკანორ მელიას და გიორგი რურუას განთავისუფლება. ყველა ხედავს, რომ დღეს ეს დამნაშავეები, მთავარ დამნაშავე მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ყველაზე აქტიურ როლს ასრულებენ პოლარიზაციაში, რომელიც ზიანს აყენებს ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს. ამ ყველაფერზე პირდაპირი პასუხისმგებლობა, რადიკალურ ოპოზიციასთან ერთად, ბუნებრივია, ყველა იმ პირსაც ეკისრება, რომელიც კრიმინალების განთავისუფლებას აქტიურად ითხოვდა.

ჩვენი უცხოელი პარტნიორების უდიდესი უმრავლესობა სათანადოდ აფასებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და აქვს ობიექტური დამოკიდებულება, ერთი მხრივ, საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის ხელისუფლების, ხოლო, მეორე მხრივ, მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ. მათი უმრავლესობა აღიარებს, რომ მიხეილ სააკაშვილი სამართლიანად იხდის მისთვის შეფარდებულ სასჯელს. ხშირად მოგვისმენია გულწრფელი კრიტიკა და შენიშვნები მეგობრების მხრიდან. ამგვარი კრიტიკა ჩვენთვის ძალზე ღირებულია და ვაფასებთ. ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენს პარტნიორებს, საქართველოს ნამდვილ მეგობრებს, ხშირად შეუცვლიათ თავდაპირველი პოზიცია, რაც მათ გულწრფელობას ადასტურებს. თუმცა, არიან მცირერიცხოვანი უცხოელი პოლიტიკოსები, რომლებიც ჯიუტად არ ცვლიან პოზიციას და ნაციონალური მოძრაობის ლობისტობას ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე სწორხაზოვნად განაგრძობენ.

რადგან სააკაშვილის საკითხი, ამ თვალსაზრისით, დღეს ყველაზე აქტუალურია, ამ თემას შედარებით დეტალურად შევეხები. კერძოდ, პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე მარტივ შეკითხვას:

როდესაც უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირი პარლამენტის წევრს უმძიმესი ფორმით ფიზიკურად უსწორდება და ახალგაზრდა კაცის მკვლელებს საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გზით მფარველობს, უნდა მოიხადოს თუ არა მან ამ ქმედებებისთვის სასჯელი (ასეთია ორი ოფიციალური ბრალი, რომლის საფუძველზეც სააკაშვილს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა; ორივე საქმის შესახებ საქართველოში ყველამ ყველაფერი იცის; ამასთან, გირგვლიანის საქმეში სააკაშვილის ბრალეულობა სტრასბურგის სასამართლომაც დაადასტურა)? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა და სამართლის უზენაესობა მისთვის ღირებულია – კი.

როდესაც ამ დანაშაულთა გამო მსჯავრდებული პირი საქართველოს საზღვარს უკანონოდ ჰკვეთს, უნდა მოხდეს თუ არა მისი მყისიერი დაპატიმრება? პასუხი ამ კითხვაზეც მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა და სამართლის უზენაესობა მისთვის ღირებულია – კი.

როდესაც მსჯავრდებული ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შიმშილობას იწყებს და განთავისუფლებას ითხოვს, უნდა დაუკმაყოფილდეს თუ არა მას მოთხოვნა? პასუხი აქაც მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა და სამართლის უზენაესობა მისთვის ღირებულია – არა.

როდესაც მსჯავრდებული სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანას იმისათვის ითხოვს, რომ ციხიდან გავიდეს და თანამზრახველებს მისი განთავისუფლების შანსი მიეცეთ, უნდა დაჰყვეს თუ არა ხელისუფლება მოთხოვნას? პასუხი მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა – არა.

როდესაც მსჯავრდებული უარს აცხადებს სასჯელაღსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორე, კლინიკით აღჭურვილ დაწესებულებაში გადაყვანაზე, უნდა გამოიყენოს თუ არა სახელმწიფომ იძულების პროპორციული ზომები მსჯავრდებულის გადასაყვანად? პასუხი ამ შემთხვევაშიც მარტივია: თუ საქართველო სახელმწიფოა – კი.

ბოლოს, როდესაც მსჯავრდებულის თანამზრახველები კატეგორიულად ითხოვენ მისი გადაყვანის ამსახველი კადრების გასაჯაროებას, მიუხედავად იმისა, რომ თავადვე იციან, რომ ეს კადრები არ იქნება სასიამოვნო სანახავი და როდესაც კადრების არგასაჯაროებაზე უამრავ სიცრუესა და სპეკულაციას აგებენ, უნდა გაუზიაროს თუ არა სახელმწიფომ საზოგადოებას სრული ინფორმაცია სიმართლის შესახებ? პასუხი ამ კითხვაზეც მარტივია – თუ საქართველო სახელმწიფოა, რომელიც აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ საზოგადოება არავის უნდა შეაყვანინოს შეცდომაში – კი.

ასე რომ, ყველაფერი დღესავით ნათელია, თუ საქართველო სახელმწიფოა, მიხეილ სააკაშვილმა სრულად უნდა მოიხადოს კუთვნილი სასჯელი და მისი უსაფუძვლო მოთხოვნების გამო, ხელისუფლებამ ექიმების, პაციენტების თუ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების უსაფრთხოება არასაჭირო რისკის ქვეშ არ უნდა დააყენოს.

სადაც არ არის სამართლიანობა, იქ არ არის მშვიდობა – საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ამ მარტივი ჭეშმარიტების საუკეთესო დასტურია. სადაც არ აღსრულდა სამართალი დამნაშავის მიმართ, პირდაპირი საფრთხე შეექმნა მშვიდობას და სტაბილურობას, რაც ქვეყნის შეუფერხებელი განვითარების აუცილებელი პირობაა. „ქართული ოცნება“ ამას აღარასოდეს დაუშვებს! სამართალი აღსრულდება ყველა იმ პირის მიმართ, რომელსაც დანაშაული აქვს ჩადენილი!

ერთ-ერთმა ევროპარლამენტარმა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დიდი ხნის ლობისტია და ამ პოლიტიკურ ძალას იმ პერიოდშიც ლობირებდა, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი ადამიანებს კლავდა, აუპატიურებდა, ბიზნესს აყაჩაღებდა, დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს იტაცებდა და ქვეყნის ტერიტორიებს რუსეთს აბარებდა, მიხეილ სააკაშვილს პოლიტპატიმარი უწოდა. ასეთ ადამიანებს გვინდა დავუსვათ მარტივი კითხვა – ცნობენ თუ არა ისინი საქართველოს სახელმწიფოდ? და თუ ცნობენ – მიაჩნიათ თუ არა, რომ სამართლისა და კანონის უზენაესობა სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია?

2012 წლიდან, საქართველოში მართლმსაჯულებამ და ზოგადად, სამართალდამცავმა სისტემამ ფუნდამენტური წინსვლა განიცადა. ამას ცხადყოფს როგორც ელემენტარული სტატისტიკა, ისე მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასებები, მათ შორის **Heritage Foundation**-ის, „მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტის“, „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“, მსოფლიო ბანკის რეიტინგები და სხვ. აღნიშნული რეიტინგები ადასტურებს, რომ საქართველო მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით, რეგიონში გამოკვეთილი ლიდერია და ათამდე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსაც კი უსწრებს. სასამართლო სისტემა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის რეპრესიული მანქანის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი იყო და რომელმაც 2004–12 წლებში უამრავი ადამიანის ღირსება, სიცოცხლე, ჯანმრთელობა და საკუთრება ხელყო, 2012 წლიდან რადიკალურად და თვისებრივად გარდაიქმნა და სამართლის სამსახურში ჩადგა.

ამ ფონზე, ქართული მართლმსაჯულების დისკრედიტაციის ყველა მცდელობის უკან იკითხება ერთადერთი მიზანი – ეს არის კრიმინალების მფარველობა და მათთვის სასჯელის არიდება იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც წარსულში აქვთ ჩადენილი ან მომავალში აქვთ ჩასადენი. ამ მცდელობის მიმართ, რომლის უკანაც იგივე პარტიები, მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და უცხოელი ლობისტები დგანან, ბუნებრივია, ჩვენ ლოიალური ვერ ვიქნებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხი დგას მარტივად – **ან ეს ადამიანები აღიარებენ, რომ საქართველო არის სახელმწიფო და სახელმწიფოში კანონი უნდა კანონობდეს, ან ჩვენ მოგვიწევს მათ ვუწოდოთ კრიმინალების მფარველები**. მათ უნდა აჩვენონ, რომ არიან საქართველოს მეგობრები და არა სააკაშვილისა და მისი კრიმინალი თანაგუნდელების მეგობრები. თუ არ აღსრულდება სამართალი დამნაშავეთა მიმართ, განსაკუთრებით იმ კრიმინალების მიმართ, რომლებსაც დღესაც ძალაუფლების დაბრუნების ამბიცია ამოძრავებთ, საქართველო ვერასოდეს გამოვა პოლარიზაციის ჩაკეტილი წრიდან, ამას კი „ქართული ოცნება“ ვერ და არ დაუშვებს.

მომავალში, როდესაც ჩვენი უცხოელი პარტნიორების ნაბიჯებს შევაფასებთ, ჩვენთვის სახელმძღვანელო სწორედ ამ წერილში ასახული მთავარი პრინციპი იქნება – ქართული სახელმწიფო ვერ ითანამშრომლებს იმ ადამიანებთან, რომლებიც კრიმინალების სასარგებლოდ პოლიტიკური მიკერძოების გამო, ამ სახელმწიფოს სახელმწიფოდ არ ცნობენ“.

კობა არაბული

უფლებააყრილი ერი და სატანისტური ბულინგი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ

რა ვქნათ, გულზე ხელები დავიკრიფოთ და დაველოდოთ, როდის დაამხობენ ქვეყანას ეს შხამიანი გიენები?!

ჩვენი ხელისუფლება და სახელმწიფო, ჩვენ, ყოველი მოქალაქე საკუთარი უკანონობის, ანუ კანონთა გაუქმების მძევალი გავხდით!

ეს უკანონობა იქცა „ბულინგად“ ხელისუფლების დამხობისთვის, საზოგადოების სულიერი ქაოსისთვის და ზნეობრივი დეპრესიისთვის.

ჩვენ არ გვაქვს კანონი:

— სამშობლოს ღალატისთვის;

— გინებისა და შეურაცხყოფისთვის;

— ცილისწამებისთვის;

— სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის;

— ეკლესიისა და სხვა სულიერ ფასეულობათა დევნისთვის;

— ისტორიული ცნობიერებისა და ტრადიციების ფალსიფიცირებისთვის.

●

ჩვენ გამოვაქვეყნეთ მიმართვა მწერლების, ეკლესიის, კულტურის, სახელმწიფო ინსტიტუტების დაცვის თაობაზე. სააკაშვილის წართმეულის და და რეპრესირებულის (ჩარეცხილის) რეაბილიტირებაზე და ასე შემდეგ...

გაუგონარი „ბულინგი“ დაგვატყდა ლიბერასტული ტელევიზიებიდან, „უნიტაზის“ მწერლებისგან.

არ სჭირდებათ არც შინაურ, არც გარეშე „კეთილმოსურნე მტრებს“ ქართული სახელმწიფოს, მისი კულტურის, მისი დამცავი ინსტიტუტების (კანონების) არსებობა! სჭირდება მხოლოდ აღვირახსნილი გამოხატვის თავისუფლება ყოველგვარი მორალის გარეშე!

მძვინვარებს ჩასაფრებულთა ღალატის ეპიდემია!

●

მოდი, შევადაროთ გუშინწინდელი ნაპრეზიდენტალის მორალი. 2000-წლის წინანდელი ბერძენი (ათენელი) მოღვაწის სოკრატეს მორალს!.. როდესაც ჯერ კიდევ კანონები ჩამოყალიბების პროცესში იყო.

სოკრატე, რომელსაც სიკვდილი მიუსაჯეს, არ ცდილობს სასჯელის არიდებას. ის მიიჩნევს, რომ ათენმა „სამართალი უნდა აღასრულოს“, თორემ ის სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდება! მისთვის მისაღებია ნებისმიერი სასჯელი მშობლისგან, ხოლო ათენი მშობელზე მეტია მისთვის!

დიახ, გენიალური სოკრატე თავს არ არიდებს სიკვდილსაც კი...

●

რომელი ქვეყნის განსასჯელი, მსჯავრდებული პრემიერი თუ პრეზიდენტი მოიქცა (და იქცევა) ისე ლაჩრულად და უღირსად, როგორც ჩვენი ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი?

საფრანგეთის, იტალიის, ისრაელის, ჩილეს, პორტუგალიის, კორეის თუ სხვა რომელიმე ქვეყნის?

არც ერთი მათგანი!

ან რომელი ქვეყანა და სახელმწიფო მოიქცევა (და ექცეოდა) ისე უღიმღამოდ და უნიათოდ (უთავმოყვარეოდ) დამნაშავე ჯალათებს, როგორც ჩვენი სახელმწიფო ექცევა ამ თაღლით ჯალათს, რომელმაც ეს ქვეყანა ამოაგდო... როგორ ექცევა სახელმწიფო თუნდაც მისი დამცველების და ადვოკატების ხროვას, რომლებიც მისი დანაშაულის ცოცხალი თანამონაწილენი არიან და მისი დანაშაულებრივი სისტემის მორალს და გაუგონარი ტირანიის ნორმებს აყალიბებდნენ...

რა ცინიზმში გვაცხოვრებენ ერს „კოაბიტაციის“ უმძიმესი სასჯელით განსაზღვრულ პირობებში“ „ბილწთან ზავის შეკვრის“ იძულებით და უმწეობის სინდრომით დაღდასმული ერი გონზე ვერ მოდის და ვერც მოვა, თუ სახელმწიფომ მთლიანად არ აღმოფხვრა (წაშალა) მასონების დაწერილი და შემოგდებული ეს კატასტროფულად სახიფათო ერის ფსიქოლოგიის დამშლელი „ფორმულა“ „კოაბიტაციისა“.

— მიწა-წყალდაკარგული, პატივაყრილი, ქმარ-შვილამოწყვეტილი, ომში დაკარგულთა ქვრივ-ობლების ქვეყანა ისევ ამ გარეწრების „საბულინგოდ“ არის ქცეული! დაუსჯელად რომ დათარეშობენ და საფლავებსაც კი უთვალთვალებენ, რომ მიცვალებულებმა არ გაიღვიძონ!

არავის არასოდეს არც ერთ სახელმწიფოს არ უპატიებია ასეთი და ამდენი რამ, რაც ნაცებს შერჩათ!

უმორალო ადამიანებს კანონის შიში მაინც უნდა ჰქონდეთ, თუ ეს არ იქნა, ამ ბულინგს ერის თავზე, სახელმწიფოზე ამ „ობის“ დაყრას და სიცრუის ნიაღვარს ვერ შევაჩერებთ!

ვერ შევინარჩუნებთ ვერც სახელმწიფო ინსტიტუტების სიმყარეს, ვერ ავირიდებთ ვერც ზნეობრივი სივრცის რღვევას, თუ სატანისტური ბულინგი არ აღვკვეთეთ კანონით!

●

— მეჩვენება, რომ არავის არ უნდა და ყველას თვალში

როგორც დირე, ისე აქვს გაჩხერილი ჩვენი ერის ისტორიული ცივილიზაცია, მისი კაცობრიული მისია ხელს უშლის (არ სჭირდება) მისი ბიბლიამდელი დასაბამი — ქრისტემდელი და ქრისტეს შემდგომ პირველ ქრისტიანეთა „სტატუსი“ — საქართველოს ჰქონდეს!

ამდენად, ჩვენ, გარკვეულწილად, გავხდით ჩვენი კულტურის და ისტორიული ცივილიზაციის მძევალი. ჩვენ წაგვერთვა მისი (კულტურის) დამცავი აურა, „ოზონური გარსი“, ჩვენ დაგვაკომპლექსეს და ვერ ვბედავთ საკუთარი ისტორიის დაცვას...

●

ეს დავალება (მისია) საკმაოდ კარგად შეასრულა საქართველოში მასონების შემოგდებულმა აგენტმა — სააკაშვილმა.

— ის შეეცადა უმორალო საზოგადოების შექმნას, ახალგაზრდა თაობის ზომბირებას (ტელევიზიებით, მასმედიით);

— კაიყმის ფენომენის, თემის, კითხული კაცების ინსტიტუტის ამოგდებას და უპირობო, უღირსებო საზოგადოების შექმნას;

— კულტურის, ტრადიციული ფასეულობების, ეკლესიების, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სახელოვნებო ცენტრებისა და კავშირების მოშლას;

— ერის გენეტიკური ენერგიების ჩახშობას;

ეს ჩამონათვალი არამატერიალური სულიერი სისტემის ის ნაწილია, რომლის განადგურებაც სააკაშვილმა ნაწილობრივ მოასწრო და უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ისტორიულ ერს. უკულტურო, უზნეო, უმორალო, უმწერლო სახელმწიფოს კატასტროფული სურათი შექმნა ამ „რასპუტინმა“, ახლა ციხიდან გაქცევას რომ ლამობს! მას ამისთვის უმკაცრესად უნდა მოეთხოვოს!

●

მან საგანგებოდ, მიზანმიმართულად გაგვიუქმა კანონები და როგორც ვთქვი, საკუთარი უკანონობისა და კანონთა არქონის მსხვერპლად აქცია სახელმწიფო და საზოგადოებაც!!!

— სახელმწიფომ აღარ იცის, რითი და როგორ დასაჯოს ბოროტმოქმედნი და აღკვეთოს სახელმწიფოს ნგრევის (დაშლის) აშკარა მცდელობა...— საზოგადოებამ ვერ გაიგო, რატომ არის დაუსჯელი ამდენი დამნაშავე, ან რანაირად შეიძლება „ტვ-1“-ის ვირთხა ასე უტიფრად დაძრწოდეს ივანიშვილის კარ-მიდამოში!

●

დიახ, სააკაშვილმა და მისმა ხროვამ სახელმწიფო უკანონობის ვაკუუმში დატოვა.

მათ ბევრი კანონი გააუქმეს წინასწარ განზრახვით. ერს ზნეობრივი და იურიდიული დაცვის „აურა“ და საფუძველი მოუხსნეს, სამართლის ჯავშანი ჩამოშალეს და ახლა დაუსჯელად დაბორიალობენ ტელევიზიების დივერსიული რაზმები — ჟურნალისტებად წოდებული მიკროფონიანი ჯაშუშები (ყაჩაღები), როდესაც ისინი დაუკითხავად იჭრებიან ეკლესიებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, გადადიან ფანჯრებიდან, მიძვრებიან ღობეებზე სხვის კარ-მიდამოში, ბავშვებს და მოხუცებს კი აშანტაჟებენ და აბულინგებენ. მათ თითო პანღური უნდა მიიღონ ყველა სახლის პატრონისგან და დარაჯისგან...

რაკი სახელმწიფოს პასუხი არა აქვს, შავოსანი, შვილმკვდარი დედების პროტესტსა და მოთხოვნებზე, სულ მალე ამასაც საზოგადოება გასცემს მწვავე პასუხს...

●

შექმნილი ფატალური ვითარების მიუხედავად, სახელმწიფო (პარლამენტი) რატომ არ იღებს კანონს დანაშაულთა და დამნაშავეთა აღსაკვეთად?!

და დგება კრიზისული წამი:

როცა დამნაშავე ჯალათი უდანაშაულო ერს თავად გამოაცხადებს დამნაშავედ და დაიწყებს მის დასჯას, დგება წამი, როცა ბოროტი (ლუციფერი) მოისხამს მართლმსაჯულების მანტიას და თავად დაიწყებს ერისა და ხელისუფლების გასამართლებას, ანუ საბრალდებო სკამზე დასმას.

ეს დრო დგება, თუ ხელისუფლება ვერ გაბედავს კანონთა მიღებას და მის აღსრულებას!

ეს დრო დგება, თუ ხელისუფლება უკან ვერ შეაბრუნებს ურჩხულის თავიდან ამოსულ ჭიებს, თვითონ აღმოჩნდება ურჩხულის ხახაში და ეს არ იქნება კარგი!

●

ჩვენ უფლებააყრილი ერი ვართ და კანონთა აღსრულების ნებასაც არ გვაძლევენ!

ჩვენ იარაღაყრილი ერი ვართ, შიშველი ხელებით ვდგავართ ღმერთის წინაშე და სულში არსებულ „ღმერთსაც გვიკლავენ“!

ჩვენ ალყაში მოქცეული ერი ვართ, არა ოდენ გარე მტრებისგან, არამედ შიგნიდან ციხის გამტეხლებით, მოღალატეებით და გამცემებით გარშემორტყმული.

არც ერთ მათგანს, დღეს რომ „ლიანდაგებზე უწვებიან“ სახელმწიფოს — მელია-ხოშტარიები და მისთანები, არც ერთ მათგანს არ გააჭაჭანებდა დავით აღმაშენებელი — ან დილეგებში ჩაყრიდა, ან გააძევებდა ქვეყნიდან.

ჩვენ კი ვდგავართ და ვუცდით, როდის დაამხობენ ქვეყანას ეს შხამიანი გიენები...

სააკაშვილს ღირსება რომ გააჩნდეს, „ნაცმოძრაობას“ თავისი პოლიტიკური ლეშისგან გაათავისუფლებდა და განახლების საშუალებას მისცემდა

გვესაუბრება
პოლიტოლოგი
ლევან ლორთქიფანიძე:

— ლევან, როგორ შეაფასებთ თვითმმართველობის არჩევნებს, რაზე მეტყველებს შედეგი, რაც დადგა?

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა, კიდევ ერთხელ, დაგვანახა, რომ საქართველოში, ჯერჯერობით, მესამე, მეოთხე რანგის პარტიების წარმოქმნა და შენარჩუნება შეუძლებელია. მიღებული შედეგი უკიდურეს პოლარიზაციასა და ორ მთავარ მოთამაშეს — „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ძალების გადანაწილებაზე მეტყველებს. კიდევ ერთხელ, გამოჩნდა, რომ მსხვილი კაპიტალის, კარგად გამართული პროპაგანდისტული მანქანის — პარტიული

მედიისა და კოორდინატორთა ქსელის გარეშე, არჩევნებში წარმატების მოპოვება შეუძლებელია. ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში მცირერიცხოვან პარტიებს ორი არჩევანი აქვთ — ან ძალაუფლების რომელიმე ცენტრის სატელიტები უნდა გახდნენ, ან უნდა გაქრნენ. შესაბამისად, ამომრჩეველს არჩევანის გაკეთება, დაუსრულებლად, თეთრსა და შავს, ცუდსა და უარეს შორის უწევს.

— „ნაცმოძრაობის“ კანდიდატებმა მერის არჩევნებში შედეგები „გაუმჯობესეს“. 2014 წელს მელიამ მეორე ტურში 28% მიიღო, მაშინ ნარმანიამ გაიმარჯვა. ახლა 45% აიღო. მაღალი პროცენტები აიღეს სხვა კანდიდატებმაც — დეკანოიძემ — 48%, ანზორ მელიამ, ასევე, — 48% და ა.შ. რასთან გვაქვს საქმე?

— საქმე ის გახლავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმატებაზე პასუხისმგებლობა, სრულად, მმართველ პარტიას ეკისრება. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ წლების მანძილზე ყველაფერი გააკეთა, რათა სააკაშვილის დაჯგუფება სასიკვდილო სარეცელიდან წამოეყენებინა. დიახ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, 2013–14 წლებში, „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის ძალადობრივ, ანტიჰუმანურ სისტემად ოფიციალურ შეფასებაზე, ავტორიტარული სტრუქტურების მოწინავე ლიდერების გასამართლებასა და დასჯაზე, სააკაშვილის პარტიის გარიყვაზე, უარი განაცხადა. „ნაციონალური მოძრაობის“ გაძლიერება „ქართული ოცნების“ უმიზნობამ, გამოიწვია. „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ „ნაციონალები“ მკვლელები არიან, რაც ჩვენ, ისედაც კარგად ვიცით და მათ გასამართლებას წლებია ვითხოვთ, შეხსენება და შეშინება არ გვჭირდება. გარდა ამისა, „ნაცმოძრაობის“ გაძლიერებას ისიც განაპირობებს, რომ „ქართული ოცნება“ არ ტოვებს სივრცეს, რესურსებს ძლიერი მემარცხენე პარტიის წარმოქმნისთვის, ხელს უშლის რესპექტაბელური კონსერვატიული ძალების გაძლიერებას. ასეთი ძალები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდნენ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალების“, მათ ირგვლივ მოტრიალე სატელიტებისა თუ არასამთავრობოების მიერ შექმნილ ნეოლიბერალურ წესრიგს. ასეთ შემთხვევაში, ორ მთავარ პარტიას სხვა კონკურენტებიც გამოუჩნდებოდნენ, მაგრამ ეს არ სურთ!

— ლევან, არსებული შედეგებით ნაცებს მოტივაცია ხომ არ მივეცით, თქვან: აი, ჩვენ, მხოლოდ 1%-ით მოგვიგეს, არჩევნები გააყალბეს, თორემ, ვიმარჯვებდითო. რატომ მივიდა საქმე აქამდე და რაში ხედავთ გამოსავალს?

— ქვეყანაში, მოტივაციებისა და სტიმულების შექმნისთვის, ყველაზე დიდი რესურსი ხელისუფლებას აქვს. ძალაუფლების მქონე პირები, თავიანთი საქმიანობითა და მიღწეული შედეგებით, ხალხს არჩევნებზე გადაწყვეტილებების მიღებისკენ უბიძგებენ. ხალხისკენ პასუხისმგებლობის ისრების მიმართვას, კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. „ქართულმა ოცნებამ“, შექმნილ ვითარებაზე, პასუხი საკუთარ თავს უნდა მოკითხოს. ხალხი დაიღალა. როდემდე შეიძლება სრული ძალაუფლების მქონე, ძლევამოსილი პარტიის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება ასე ჟღერდეს: „ჩვენ თუ არ მოგვცემთ ხმას, ისინი მობრუნდებიან“. საზოგადოების დიდ ნაწილს „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში მობრუნება არ სურს, მაგრამ უნდა იცოდეს — რა პროგრამა, რა ხედვები აქვს მმართველ ძალას, როგორი იქნება ქვეყნის მომავალი, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასეთი სიღარიბე და ჩამორჩენილობა. ხალხის ამ ინტერესის არად ჩაგდება, დაუკმაყოფილებლობა ხელისუფლებას ძვირად უჯდება. თუმცა, „ნაცმოძრაობის“ წარმატება მხოლოდ მთავრობის ქცევით არ არის განპირობებული. საერთოდ, ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს მედია, განათლების სისტემა, ხალხი, ასევე, აფასებს საჯარო პირების განცხადებებს. დღეს, ჩვენს მედიასა და განათლების სისტემაში მოკალათებულნი არიან ადამიანები, რომლებიც სიმბოლურად, დაახლოებით, შემდეგი შინაარსის ტექსტს გვეუბნებიან: „რა უჭირს თუ გირგვლიანი დანით დასერეს და აკუწული ტყეში დააგდეს, რა უჭირს თუ ქვეყანაში ყველა ოჯახს თითო პატიმარი ჰყავდა და მათ ციხეებში არაადამიანურად ეპყრობოდნენ, სამაგიეროდ, შუქი მოვიდა, გზა დაიგო და იუსტიციის სახლი აშენდა“. მაშასადამე, ჩვენს მედიასა და განათლების სისტემაში გაბატონებულია აზრი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების მიზნებს, შეიძლება, ადამიანები, მათი სისცოცხლე და ბედისწერა შეეწიროს. ბუნებრივია, ამ იდეებზე დაყრდნობით, „ტიკტოკისა“ და „ფეისბუკის“ ბუშტში ჩამოყალიბებული ადამიანები „ნაცმოძრაობას“ ხმას უპრობლემოდ აძლევენ. ამას ემატება, ჩვენი, საჯარო პირების სრული უპრინციპობა და ფსკერზე დაცემა. მუდმივად, ერთი ცნობილი მომღერალი მახსენდება, რომელმაც ნანუკა ჟორჟოლიანს „ღირსეული ქართველი ქალი“ უწოდა. სამწუხაროდ, ასეთები მრავლად არიან.

— როგორ შეაფასებთ, არჩევნების მეორე ტურის შემდგომ, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს?

— საქართველოში მოქმედი ყველა პარტია, განსაკუთრებით კი, „ნაციონალური მოძრაობა“ მოქმედებს პრინციპით — „ან ყველაფერი, ან არაფერი“. მათ, მხოლოდ, ყოვლისმომცველი, აბსოლუტური ძალაუფლება სურთ, თან, აქ და ახლა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მზად არიან საკუთარ სახლს ცეცხლი წაუკიდონ, თავიანთი ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხონ. მეორე ტურის შემდეგ, თვალ-ყურს, სწორედ, ამ მიდგომის ხორცშესხმის პროცესს ვადევნებთ. საქართველოში პოლიტიკური კლასი, განსაკუთრებით კი, ოპოზიცია, შემაშფოთებელი სიზარმაცით გამოირჩევა. ერთ კარგად მომუშავე ფრაქციას ასჯერ უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია ხელისუფლებისთვის, ვიდრე „სამასი არაგველის“ მეტროსთან გამართულ სამას უშინაარსო მიტინგს. უბრალოდ, ფრაქციის მუშაობას რუტინული და დარგობრივი შრომა სჭირდება, რაც დესტრუქციულ ძალებს ჭირის დღესავით ეზარებათ.

— 2003 წლიდან მოყოლებული „ნაცმოძრაობა“ — ხან ხელისუფლებაში, ხან ოპოზიციაში — აქტიურ პოლიტიკაშია. რით საზრდოობენ, ფინანსური ნაკადი, რითაც ნაცები ქვეყანას ანგრევენ, საიდან მოდის?

— თქვენს კითხვაზე სრულყოფილი პასუხის გასაცემად, ერთი სახელისა და გვარის გახსენებაც კი საკმარისი იქნება. დიახ, გავიხსენოთ, ბ-ნი დავით კეზერაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში იღლიებამდე ტალახითა და ცალცალი ფეხსაცმლით მოვიდა, 5 დღეში ომი წააგო და თავდაცვის მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, მულტიმილიარდერი გახდა. დღეს კი, სრულიად უპრობლემოდ, მდაბიო ტელევიზიას აფინანსებს. დავით კეზერაშვილის მაგალითი საყოველთაოდ ცნობილია. „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს, ჩვენი ქვეყანა, კიდევ ათობით მსგავსმა ავანტიურისტმა გაძარცვა, მიითვისა ჩვენს მიერ აღებული ვალები თუ კრედიტები. ამჟამად კი, ფულს ქართულ პოლიტიკაში ატრიალებენ.

— როგორ ფიქრობთ, „ნაცმოძრაობის“ გეგმა, რასაც ამჟამად, მიჰყვებიან, რუსული სცენარით ხომ არ ვითარდება?

— რუსეთის ინტერესების გასატარებლად აუცილებელი სულაც არ არის, გულის ჯიბეში, სპეცსამსახურების მოწმობა გედოს. რუსეთის საქმის გაკეთება სასარგებლო იდიოტებსა და ეგომანიაკებს უკეთ შეუძლიათ, რომლებიც ქვეყანას გაბმულ, მუდმივ კრიზისში აცხოვრებენ და სერიოზულ, მნიშვნელოვან პრობლემებზე დაფიქრებისა და მუშაობის საშუალებას არ გვაძლევენ; ისინი, მთელ ქვეყანას, პირად ინტერესებს გადააყოლებენ და დედ-მამასაც კი დახოცავენ, ოღონდ, ფული და თანამდებობა იშოვონ.

— მოსახლეობას, მუდმივად, გვესმის: ივანიშვილი რუსეთისკენ მიგვაქანებს, „ქართული ოცნება“ პრო-რუსული ძალააო. ვინ არის, თავად, „ნაცმოძრაობა“? ხომ არ არის ის რუსული აგენტურა,რომელიც როგორც პრო-დასავლური ძალა, ისე შემოგვაჩეჩეს? ასევე, რა ახსნა აქვს ევროპარლამენტარების ნაცებისადმი მხარდაჭერას?

— მე, ვერ გეტყვით რა და როგორ შემოგვაჩეჩეს, მაგრამ შემიძლია გითხრათ: როგორია ნამდვილი დასავლური სახელმწიფო. დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის დაცვას, ინდუსტრიისა და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებას, სამშვიდობო პოლიტიკის გატარებას ცდილობენ, მხ-

არს უჭერენ კლიმატის კრიზისის დაძლევასა და გარემოს დაცვას და ა.შ. „ნაციონალურ მოძრაობას“ არცერთ ამ თეზისთან საერთო არასდროს ჰქონია. ისინი, ყოველთვის, ნერგავდნენ სოციალურ უსამართლობას, ყიდდნენ და ანიავებდნენ ჩვენს ეკონომიკას, ანადგურებდნენ გარემოს, ჰქონდათ მილიტარისტული და აგრესიული რიტორიკა. „ნაციონალური მოძრაობის“ მხოლოდ ფასადია „პროდასავლური“, შინაარსითა და აზროვნებით, ისინი, უფრო მეტად აღმოსავლურ დესპოტიებს ენათესავებოდნენ. რაც შეეხება ევროპარლამენტარებს. საქართველო მსოფლიოს ცენტრი არ არის. ევროპარლამენტს საქართველოზე ათასჯერ მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს გადასაწყვეტი. ჩვენი ქვეყნის საკითხებზე, ევროპარლამენტში, ძირითადად, მეორეხარისხოვანი დეპუტატები მუშაობენ. მათ ნაწილს, ჩვენი რეგიონის შესახებ, ფუნდამენტური

ცოდნა არ აქვს და კრიზისების დაუყოვნებლივ გადასაწყვეტად, არც ძალა შესწევთ.

— ეს ყველაფერი იმიტომ ხომ არ გვჭირს, რომ 30 წელია ერთსა და იმავე მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ და 1992 წლის მოვლენები სახელმწიფო გადატრიალებად არ შეფასდა?

— საერთოდ, უახლესი ისტორიის ნაცვლად, საქმე, რაღაც, გაუგებარ იდეოლოგიასთან გვაქვს. არც პირველი რესპუბლიკის წლები გვაქვს ნორმალურად შეფასებული, არც საბჭოთა ეპოქის ავ-კარგი, არც გადატრიალება გაგვიაზრებია. შესაბამისად, სამართლიანი და მეცნიერული შეფასების გარეშე, გასაკვირი არ არის, რომ წრეზე ვტრიალებთ.

— ნაცების მხრიდან რა ხანია ვისმენთ: მესამე პრეზიდენტს რუსეთის დავალებით კლავენ, ის სინდისის პატიმარიაო და ა.შ. ეს ეპითეტები მიშას რამდენად შეეფერება — ადამიანს, რომელიც ციხიდანაც კი იმას გაიძახის: მოაწყონ რევოლუცია და ხალხის რისხვით საპატიმროდან გაათავისუფლონ?

— დიახ, ციხიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში სააკაშვილი თანამოაზრეებს, პირდაპირ, მოუწოდებს: უარი თქვან პარლამენტში მუშაობაზე, მოაწყონ რევოლუცია და ხალხის რისხვის ძალით გახსნან საპატიმროს კარი. მოდით, ყურადღება რამდენიმე საკითხზე გავამახვილოთ: რევოლუციასა და სახალხო მღელვარებაზე საუბრის დროს, პატიმარი სააკაშვილი მისაბაძ მაგალითებად უკრაინასა და სომხეთს ასახელებს, ცდილობს პარალელები გაავლოს საქართველოში შექმნილ დღევანდელ სიტუაციასა და პაშინიანის ბრძოლას შორის. ასევე, ჩვენს სიტუაციასა და იანუკოვიჩის დამხობას შორის. ამ წერილში, იგი, არ აღნიშნავს შემდეგს: პირველი — პაშინიანს, რევოლუციამდე, ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილება არ ჰქონდა და ვერტიკალის სათავეში მუშაობის დროს დაგროვებული ცოდვები, სისასტიკეები მხრებს არ უმძიმებდა. მას ხალხი ქოჩარიანისა და სარქისიანის ხელისუფლებებთან მებრძოლ, მუდმივად უმცირესობაში მყოფ ოპოზიციონერად იცნობდა. ის იყო პატიოსანი, ზურგჩანთიანი „უბრალო კაცი“, რომელიც გზის გაკაფვას შიშველი ხელებით ცდილობდა. პაშინიანს სისხლიანი შლეიფი და სიმდიდრე რომ ჰქონოდა, შორს ვერ წავიდოდა. ოპოზიციონერი სააკაშვილი ოპოზიციონერ პაშინიანს მისხალითაც არ ჰგავს. მეორე — იანუკოვიჩი უკრაინის პოლიტიკურ ველზე 20 წელზე მეტს ასპარეზობდა. ის არ უყვარდათ ქვეყნის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, მასში ეჭვი ეპარებოდათ, ებრძოდნენ კიდეც, მაგრამ იტანდნენ. მოთმინების ფიალა მას შემდეგ აივსო, რაც მან ევროკავშირს ღიად აქცია ზურგი და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი თქვა. „ქართული ოცნება“, დღევანდელი მონაცემებით, არ აპირებს ევროპული თანამეგობრობისთვის ზურგის შექცევას, არც ოფიციალური კავშირების დემონსტრაციულად გაწყვეტას გეგმავს. ქოცების მიერ ანა ფოტიგას კრიტიკასა და მარინა კალიურანდის ლანძღვას ხალხი ცივილიზაციური არჩევანის ღალატად არ აღიქვამს. შესაბამისად, საქართველოში, დღეს არც იმგვარი მუხტი არსებობს, რამაც

ათასობით მოქალაქე იანუკოვიჩის წინააღმდეგ გამოიყვანა. მოკლედ, სააკაშვილი ციხეშიც ზის და „ტყემალზეც“, ან დემაგოგიასა და იაფფასიან პოპულიზმთან გვაქვს საქმე. სააკაშვილს, ღირსება რომ გააჩნდეს, შეჭამდა, მშვიდად მოიხდიდა სასჯელს, „ნაცმოძრაობას“ თავისივე პოლიტიკური ლეშისგან გაათავისუფლებდა და მას განახლების შანსს მისცემდა.

— რა შეიძლება სააკაშვილის შიმშილობას ვუწოდოთ, თუნდაც, რა მოთხოვნები აქვს?

— ექს-პრეზიდენტ სააკაშვილის შიმშილობის მთავარი მოთხოვნა არის მისთვის ყველა დანაშაულის პატიება, მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის ყველა საქმის შეწყვეტა, სანამ საქართველოს თითოეული მოსამართლე ციცერონის რანგის მოღვაწე არ გახდება; ციხის კარის გაღება, მისი გათავისუფლება და ეროვნულ გმირად გამოცხადება. მას არც ციხეში ყოფნა სურს და არც ოპოზიციაში მუშაობა. დიახ, ექს-პრეზიდენტს სურს თავისუფლება და ძალაუფლება, პასუხისმგებლობისა და მსჯავრის თავიდან არიდება. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი მოთხოვნა აბსურდული, ანტისახელმწიფოებრივია. მიშას ქმედებები გმირული თავდადების ნაცვლად ძალიან ჰგავს პატარა ბავშვის გაჯიუტებასა და ფეხების ბაკუნს. იმედი მაქვს, რომ საქართველოს სახელმწიფო მოახერხებს მისი, როგორც დამნაშავის დასჯას და ექს-პრეზიდენტი სრულად მოიხდის ბრალს. თუმცა, სააკაშვილი სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მომხრეებს მასობრივი არეულობისკენ, გადატრიალებისკენ, ანტიკონსტიტუციური გზებით ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებს. ზემო კითხვაში, ახსენეთ: სააკაშვილს სინდისის პატიმარს უწოდებენო. ვინ იყვნენ სინდისის პატიმრები? — ადამიანები, რომელთაც არანაირი დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი და მხოლოდ თავიანთი რწმენის, შეხედულებების, სინდისიერი პოზიციის გამო იდევნებოდნენ. სააკაშვილს კი ბრალი ედება მშვიდობიანი დემონსტრანტების სასტიკად დარბევაში, პატარკაციშვილების ოჯახის ძარცვაში, ოპოზიციონერი დეპუტატების სასიკვდილოდ დასისხლიანებაში, მკვლელების მფარველობაში, სახელმწიფო ხარჯებით შვილებისა და საყვარელი ადამიანების ფუფუნების უზრუნველყოფასა და ათას სხვა სისაძაგლეში. სააკაშვილის იმავე სტატუსით მოხსენიება, ყველა სინდისის პატიმრის შეურაცხყოფაა. რაც შეეხება სააკაშვილის შიმშილობას, ამ კუთხით კრიტიკულ მსჯელობებს ხელს უწყობს ისიც, რომ ოპოზიცია ყოველ საღამოს ქმნის ექს-პრეზიდენტის სიკვდილის მოლოდინს, აცხადებს, რომ სააკაშვილი დღე-დღეზე წაიქცევა, ამიტომ დასაჩქარებელია ციხის კარების შენგრევა... ამასობაში კი, მას აქვს პოტენციალი შანტაჟი თვეობით გაწელოს. სააკაშვილი გახლავთ ადამიანი, რომელიც პროტესტის უკიდურეს ფორმასაც კი უკარგავს თავის მნიშვნელობას — შიმშილობას თავისი მანიპულაციებითა და ტყუილებით, მახსარაობისა და აბუჩად აგდების ობიექტად აქცევს.

— როგორ ფიქრობთ, მაინც, რატომ აღიქვამს სააკაშვილის შიმშილობას მოქალაქეთა დიდი ნაწილი არასერიოზულად?

— იმიტომ, რომ მათ ნანახი აქვთ ჰოლივუდის ფილმები ჩრდილოეთ ირლანდიის შესახებ, კინოფირზე დაკვირვებიან როგორ შიმშილობდა ბობი სანდი, რა პირობები ჰქონდა შექმნილი, როგორ წვალობდა, როგორი პრინციპული იყო და როგორ არ მიუღია არცერთი ლუკმა. სმენიათ მაჰათმა განდის შესახებ, რომელიც თავიდანვე ამბობდა, რომ შიმშილობის მარათონულ ხასიათს ინდური ფილოსოფიისა და მოძღვრებისთვის ცნობილი რამდენიმე ტრადიციული ხერხის საშუალებით უზრუნველყოფდა, რამდენიმე მარცვლის მიღებაზე უარს არ იტყოდა. რაც მთავარია, ქართველი ხალხის მნიშვნელოვან ნაწილს ახსოვს მერაბ კოსტავას შიმშილობა, რომელსაც პირადი კეთილდღეობისთვის მხარდამჭერები არასდროს დაუშანტაჟებია და ავტორიტარული ხელისუფლებაც კი. მას არასდროს უკადრებია ლეიბებზე, ბალიშებზე, ტელევიზორებზე საუბარი. მერაბ კოსტავას ერთ თვეში 130 მნახველის კი არა, ათ წელიწადში ათი მნახველის მიღების საშუალებაც არ ჰქონდა. შესაბამისად, ადამიანებისთვის ნამდვილი და პატიოსანი პროტესტი ასოცირდება მერაბ კოსტავას თავგანწირვასთან, ჭეშმარიტ ბრძოლასთან და არა ამ შანტაჟთან — ბრალი მომიხსენით, თორემ თავს მოვიკლავ ან ხალხს ციხეს დავანგრევინებო! მერაბ კოსტავას, მაჰათმა განდის არავინ შეახსენებს მარცვლების მიღებას... ბობი სანდის უკომპრომისობას არასერიოზულად მისი მოსისხლე მტრებიც არ აღიქვამდნენ არასდროს! არასერიოზულად უყურებენ მას, ვისაც თავისი თავის მიღმა არავინ და არაფერი აინტერესებს.

— ამ პროცესებში ტელევიზიების როლზე რას იტყვით?

— თანამედროვე ქართული ტელევიზიები ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე დიდ უბედურებას წარმოადგენენ. ისინი არ ემსახურებიან სიმართლეს, საერთო სიკეთის შექმნას. მათი მთავარი ამოცანაა როგორმე თავიანთ მფლობელებსა და დამფინანსებლებს აამონ, ასიამოვნონ. მფლობელებისა და დამფინანსებლების ინტერესების დაცვის მიზნით მზად არიან ყველაფერი იკადრონ, რეალობა გააყალბონ, ადამიანებს ცხოვრება დაუნგრიონ, მოქალაქეებს სახლებში შეუვარდნენ, მოიტყუონ, ყველას და ყველაფერს შეურაცხყოფა მიაყენონ, გააღვივონ შუღლი. თან ჩვენს ტელევიზიებში, როგორც წესი, საგანგებოდ გაუნათლებელი ადამიანები არიან დასაქმებულნი, რომელთაც წიგნი ხელში უკუღმაც კი არ სჭერიათ; რომელთაც გალაკტიონ ტაბიძე მომღერალი ჰგონიათ.

— რაც დღეს ხდება, ძალიან ჰგავს უსასრულოდ გაგრძელებულ საჭადრაკო პარტიას ორ მოჭადრაკეს შორის. რით შეიძლება ეს პარტია დამთავრდეს?

— წარმოვიდგინოთ, რომ ყოველ მომდევნო სვლაზე მოწინააღმდეგე „ქიშს“ გიცხადებთ, უკან გახევინებთ, განერვიულებთ, მაგრამ შამათის ჩასმის თავი არ აქვს, ფიგურა აკლდება. ყოველ სეზონზე, ნაცები ქოცებს „ქიშს“ უცხადებენ, „ქართული ოცნება“ ჩვენს დასანახად შფოთავს, მაგრამ იცის, რომ ყოველთვის გამარჯვებული გამოვა, რადგან ოპოზიციას ფიგურა არ ჰყავს. დაზავება არავის სურს და პარტიაც დაუსრულებლად გრძელდება. ერთადერთი გზა დაფის აყირავებაა.

აღნიშნული პარტიის დასრულების სამი გზა არსებობს: 1. ერთ-ერთი მხარე დაიღლება და დამარცხებას აღიარებს ან ყაიმს მოითხოვს. 2. ერთ-ერთი მხარე თავის პაიკს ლაზიერად გადააქცევს და მოწინააღმდეგეს „შამათს“ გამოუცხადებს. 3. მაყურებელი დაფას ააყირავებს და ორივე მათგანი დამარცხდება. ყველაზე სავარაუდო კი მხარეების დაღლა გახლავთ, უბრალოდ, ჩვენ არ ვიცით ვინ დაიღლება პირველი, სადამდე ეყოფა „ნაცმოძრაობას“ ძალა. რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, ეს ახალს არაფერს მოგვიტანს, შეიძლება ნაცებმა, ოდნავ, გაიუმჯობესონ შედეგი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

შავი ფული, შავბნელი „ნაცმოძრაობა“ და საქართველოს შავი ღამე, რომლის გათენებასაც საშველი არ დაადგა

მეცხრე წელია, „ნაცმოძრაობას“ იერიში იერიშზე მიაქვს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამ ხნის განმავლობაში, ვერა და ვერ გამოიძებნა ეფექტური საშუალება ამ იერიშების აღსაკვეთად.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი და მასთან ერთად ხელისუფლებაც, დიდი ხანია, მივიდნენ იმ საკვნამდე, რომ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ორგანიზაცია კი არ არის, რომელიც პოლიტიკური მეთოდებით იბრძვის ხელისუფლებაში მოსასვლელად, არამედ მტერია, რომელიც ღიად და დაუფარავად ძალადობს ქართულ სახელმწიფოზე, ქართველ ხალხზე — არ ემორჩილება კანონებს, არ ცნობს არჩევნების შედეგებს, აბუჩად იგდებს სახელმწიფო სტრუქტურებს და ღიად ეწევა მათ დისკრედიტაციას, ქვეყანას ამყოფებს მუდმივი რყევების, მუდმივი ფსიქოლოგიური სტრესის რეჟიმში, ეწევა საბოტაჟს, აფერხებს პარლამენტის ნორმალურ მუშაობას, ცრუ ინფორმაციებს ავრცელებს ქვეყნის გარეთ, ცდილობს, უთანხმოება და უნდობლობა ჩამოაგდოს საქართველოსა და მის საერთაშორისო პარტნიორებს შორის.

რვა არჩევნები ჩატარდა ამ ცხრა წლის განმავლობაში, თუმცა ეს არ იყო არჩევნები იმ გაგებით, როგორც ეს არის მიღებული ცივილიზებულ სამყაროში.

თითოეულ ამ არჩევნებს თან მოსდევდა მორიგი შეტევა „ნაცმოძრაობის“ მხრიდან, რომელიც ვერ ეგუებოდა წარუმატებლობას და დამარცხების კომპენსაციას უკიდურესად რადიკალური ხერხებით ცდილობდა.

ცხრა წელია, ქართველი ხალხი და „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ შტეკების მოგერიების რეჟიმში ცხოვრობს.

თითქოს არჩევნებს კი არ ვატარებთ, გამუდმებულ ომში ვართ და მოძალადე „ნაცმოძრაობისგან“ თავს ვიცავთ.

იმ ზომებით, რომლებსაც ქართული სახელმწიფო ამ განუწყვეტელი შეტევების აღსაკვეთად იღებს, მხოლოდ დროებით თუ ხერხდება ამ მასიური იერიშების შეჩერება — მცირე ხნით ჩაცხრება, მერე კი ისევ ხელახლა იწყება ყველაფერი.

ახლაც სხვადასხვა ლოკაციებზე გამუდმებული იერიშები მიაქვთ ნაციონალებს და ქართული სახელმწიფო ისევ და ისევ ამ იერიშების მოგერიებას ცდილობს.

ცხადია, ამ „ღონისძიებების“ ჩატარებას ნაციონალები კოლოსალურ თანხებს ახმარენ. მათი ძალა, მათი უშრეტი ენერგია, ფაქტობრივად, ფულზე დგას, რომელიც უწყვეტ ნაკადად მოედინება საიდანღაც და არა და არ ილევა.

2013-ში ვფიქრობდით, სადაცაა ამოეწურებათ ნაცებს ფულადი რესურსებიო, მერე იგივეს ცფიქრობდი 2014-ში, 2015-ში, 2016-შიც, მაგრამ ნაციონალების ფულის მდინარე კი არ დაიშრიტა, ახალ-ახალი შენაკადები გაჩნდა და უფრო და უფრო წყალუხვი, უფრო ზუსტად, ფულუხვი გახდა, შესაბამისად, იმატა „ნაცმოძრაობის“ რეიტინგმაც და 17–18 პროცენტიდან 30 პროცენტამდე ავიდა.

მართალია, „ნაცმოძრაობა“ „ქართული ოცნებისკენ“ იშვერს ხელს, არჩევნებში დიდ ფულს ხარჯავენო, თუმცა, სინამდვილეში, თავად „ნაცმოძრაობა“ კოლოსალურ თანხებს ხარჯავს ყოველწლიურად.

უხეში დაანგარიშებით, ეს თანხები ასეულობით მილიონს აღწევს.

აბსოლუტური სიცრუეა ნაცების მტკიცება, თითქოს მათი მხარდამჭერები მხოლოდ შიშველ ენთუზიაზმზე მუშაობენ და უანგაროდ ემსახურებიან ნაცების პოლიტიკური ინტერესებისა და ოცნებების განხორციელებას.

დადასტურებული ფაქტია, რომ „ნაცმოძრაობის“ აქციების და მიტინგების მონაწილეები გარკვეულ ანაზღაურებას იღებენ — „სტავკები“ 50 ლარიდან იწყება და 200–300 ლარამდე ადის.

არსებობენ ე.წ. პროფესიონალი მომიტინგეები, რომლებიც მიტინგიდან მიტინგზე, ქალაქიდან ქალაქში გადადიან და, ფაქტობრივად, ამ შემოსავლით ირჩენენ თავს და არჩენენ ოჯახსაც.

უხეში დათვლებით, ერთი ხუთიათასკაციანი მიტინგის მოწყობა, თავის ტექნიკურ ხარჯებთან ერთად, ყველაზე ნაკლები, ნახევარ მილიონამდე ჯდება.

ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი ასეთი მიტინგი იმართება წლის განმავლობაში და რამდენ ნახევარ მილიონს იხდიან ნაცები მომიტინგეთა ანაზღაურებაში.

ამას დაუმატეთ პარტიული ოფისების და იქ მომუშავე ადამიანების შენახვა მთელი საქართველოს მასშტაბით, ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებით დაკომპლექტებული მრავალრიცხოვანი ორგანიზაციების, „ნაცმოძრაობის“ სატელიტი არასამთავრობოების დაფინანსება სხვა წვრილმანი თუ მსხვილმანი ხარჯები.

ცალკე სალაპარაკო თემაა, როგორ და რა თანხებით ინახავენ ნაცები სამ მსხვილ ტელეკომპანიას „მთავარს“, TV-1-ს, „ფორმულას“, სხვა წვრილ-წვრილ ტელევიზიებს, საიტებს, პორტალებს, სააგენტოებს.

არა იდეებზე, არა კონცეფციებზე, არა ნოვატორულ პროექტებზე და გეგმებზე, არამედ მთლიანად ფულზე დგას „ნაცმოძრაობის“ „ძლევამოსილების“ საიდუმლო და სანამდე ექნებათ ეს დიდი ფული, ნაციონალებიც იქნებიან და იქნებიან.

მოდით, კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვა, რომელიც ადრეც ბევრჯერ დასმულა — რა წამომავლობისაა და ვისია ეს ფული, რითაც ნაციონალები თავიანთ „მრავალწახნაგოვან“ და „მრავალპროფილიან“ საქმიანობას აფინანსებენ?

თუ ეს ნაციონალების ფულია, საიდან შეიძლება ჰქონდეს პარტიულ ორგანიზაციას მილიონები და მილიარდები, რომლებსაც ასე უშურველად ხარჯავენ და ხარჯავენ, მაგრამ მძლავრ ნაკადად მომდინარე ფულის ნაკადს ამით არაფერი აკლდება.

შეიძლება ეს ფული იმ 16 მილიარდის ნაწილია, რომელიც, როგორც ამბობენ, ნაციონალებმა ქვეყნიდან გაზიდეს, თუმცა ეს ნაკლებ სავარაუდოა — ბუნებით ძუნწი და წუწკი ნაციონალები საკუთარ ფულს პარტიას რომ არ მოახმარენ, ეს ეჭვს არ იწვევს.

ნაციონალებმა ხელისუფლებაში ყოფნის დროს ძალიან სერიოზული ბიზნესები „დაითრიეს“, თუმცა ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც ამ ბიზნესისთვის თითი არავის დაუქნევია და მათი მფლობელებისთვის ზედმეტი სიტყვა არავის უთქვამს.

ნაციონალებს ყველაფერი შერჩათ, ნაციონალებმა ყველაფერი შეირჩინეს და შეინარჩუნეს და თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ისინი დღემდე აკონტროლებენ ქართული ბიზნესის უდიდეს სეგმენტს თითქმის ყველა სფეროში.

ნაციონალების პარტიულ ყულაბაში, ცხადია, დიდი თანხები შედის ნაცების პირადი თუ მათი ბიზნესპარტნიორების ბიზნესებიდანაც, თუმცა არა გვგონია, ეს მაინც საკმარისი იყოს კოლოსალური ხარჯების დასაფარად.

არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ნაციონალებს სერიოზული სპონსორები და დონორები ჰყავთ უცხოეთში სხვადასხვა ფონდების სახით, რომელთა მთავარი საქმიანობა შავი ფულის გარეცხვას და „ატკატის“ სახით დიდი სარგებლის მიღების მაქინაციებს უკავშირდება.

ზოგიერთი ექსპერტის და ანალიტიკოსის აზრით, საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით მაინც რუსული შავი ფული ტრიალებს, რომელიც სხვადასხვა უცხოური კომპანიების თუ ფონდების გავლით შემოდის საქართველოში.

ამ ექსპერტების და ანალიტიკოსების მტკიცებით, „ნაცმოძრაობა“ სწორედ „პასპორტგადაკეთებული“ რუსული შავი ფულით ფინანსდება.

მიზანი: საქართველოში მუდმივი რყევების, მუდმივი უწონადობის, მუდმივი ქაოსის და არასტაბილური გარემოს შექმნა, რომელმაც ბოლომდე უნდა დაასუსტოს და დააუძლუროს ქართული სახელმწიფო.

ამ ვერაგულ მიზანს შესანიშნავად ემსახურებიან ნაციონალები, ნაციონალები კი ის ხალხი არ არის, ვინმეს რაიმე მუქთად გაუკეთონ...

ასეა თუ ისეა, ფაქტია, ნაციონალებმა პოლიტიკა დიდი ფულის კეთების საშუალებად, დიდ ბიზნესად აქციეს და ამ საქმეში საკმაოდ ნიჭიერები და ფხიანები აღმოჩნდნენ.

მათ პოლიტიკოსობა პოლიტიკის საკეთებლად კი არა, დიდი ფულის საკეთებლად სჭირდებათ, პოლიტიკა სჭირდებათ, როგორც „კრიშა“, როგორც ხელშეუხებლობის გარანტი.

„ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობა, როგორც ვთქვით, მთლიანად შავ ფულს ეყრდნობა.

სანამ არ გადაიკეტება შავი ფულის ნაკადი, რომელიც „ნაცმოძრაობას“ ასაზრდოებს, მანამდე „ნაცმოძრაობაც“ იარსებებს და არა მარტო იარსებებს, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდება.

აქედან გამომდინარე, ვერ გავიზიარებთ „ქართული ოცნების“ იმ წარმომადგენელთა ოპტიმიზმს, რომლებიც დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ „ნაცმოძრაობა“ აგონიაშია, „ნაცმოძრაობა“ ბოლო დღეებს ითვლის და ახლო მომავალში ის საერთოდ გაქრება პოლიტიკური ასპარეზიდან.

ჩვენ ეს განცხადებები 9 წელია, გვესმის, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ არსად წასულა და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს არ აპირებს წასვლას.

●

კიდევ ვიმეორებთ: ქვეყნისთვის უაღრესად საზიანო ამ პროცესების შესაჩერებლად და მტერზე უარესი მტრის, „ნაცმოძრაობის“, შესაჩერებლად სხვა გზა და სხვა ხერხი არ არსებობს, გარდა ერთისა: „ნაცმოძრაობას“ არალეგალური და ფინანსური წყაროები, განსაკუთრებით კი შავი ფულის მძლავრი ნაკადები უნდა გადაეკეტოს, რომლითაც „ნაცმოძრაობა“ საზრდოობს და ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს, წლებია, ახორციელებს.

როგორ და რანაირად უნდა გაკეთდეს ეს, ხელისუფლებამ ჩვენზე უფრო კარგად იცის.

სანამ შავი ფულის ინექცია დაუბრკოლებლად მიედინება „ნაცმოძრაობის“ ძარღვებში, საქართველოს შავი ღამე კიდევ დიდხანს ვერ გათენდება...

ვახტანგ ხარჩილავა

აქა ამბავი მიხეილ თრეულისა

პირველად გორში ათრიეს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაუბედურებულ ზონაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი ჩაიყვანა. პრინციპში, ეგეც საკითხავია, სააკაშვილმა ჩაიყვანა კუშნერი თუ კუშნერმა ჩაიყვანა სააკაშვილი. თვითმფრინავის ხმა გაიგონა, ბომბდამშენისა. შეიძლება არც იყო ბომბდამშენი, ნუ გამოვრიცხავთ, სადმე ახლოს „კუკურუზნიკმა“ გადაიფრინა. პუტინის გამოგზავნილი „სამალიოტი“ რომ ყოფილიყო, უთუოდ გამოჩნდებოდა, კამერები თუ ვერა, რადარები მაინც დააფიქსირებდნენ. თქვენც არ მომიკვდეთ, მხოლოდ მაგან გაიგონა და მოკურცხლა კიდევაც. თქვენ ვიდეოც გაქვთ ნანახი და ფოტოებიც — სიშლეგე შეეყარა, გაჰქუსლა, დაცვის წევრები გადაეფარნენ, ზემოდან დაახტნენ, ღმუოდა, მიშველეთო, მოსაკლავად დამდევენო, პუტინმა ბომბდამშენები გამოაგზავნაო. იდგა კუშნერი და მხრებს იჩეჩავდა, რა ისა და რა ესაო? ვერც აუხსნეს, ყველა დადუმდა, ან კი რა უნდა აეხსნათ? კაცი ჩაჯდა თვითმფრინავში და წავიდა. ვერ გაიგო, სააკაშვილი სად დაითესა. არ ვიცი, საქართველოს ისტორიაში ყოფილა, ოდესმე მასპინძელს სტუმარი მიეტოვებინოს? არ მახსენდება!

პირველად გორში ათრიეს-მეთქი, შეიძლება ვცდები, ჭორები დადის, მანამდეც ბევრჯერ ათრიეს, უბრალოდ რაც ყველამ ვნახეთ, იმაზე ვლაპარაკობ, მისი სიჭაბუკისა და ბავშვობის „თრევები“ რომ არ მოვიძიოთ, ისედაც ბევრია. სხვათა შორის, ვინც იგი ბავშვობაში ან სიჭაბუკეში ათრია, როცა პრეზიდენტი გახდა, ყველას დედა უტირა, ზოგი „დაბრიდა“, ზოგი აწამა და დაანივალიდა, ზოგსაც სახლ-კარი და ქონება აახია, ზოგსაც ცოლი გაუუპატიურა.

მეორედ უკრაინაში ათრიეს. პოროშენკომ წიხლისკვრით გააგდო უკრაინიდან. წავიდა, იწანწალა, სხვა გზა არ ჰქონდა, ერთ ხანობას პოლონეთში ეგდო, მერე ჰოლანდიაში შეეკედლა სიდედრს, ბოლოს კი, 2017-ში ისევ უკრაინაში მოუნდა შეჭრა პოლონეთიდან. მისთვის პრეზიდენტი პეტრო ჯერ პეტოდ გადაიქცა, შემდეგ კი „პარაშად“. სააკაშვილი, რომელსაც კაცობისა არაფერი სცხია, ასეთი ლოზუნგებით გამოდიოდა: „პეტია უნდა წავიდეს, მე ხელი უნდა შევუშალო ბანდას, რომელიც უკრაინის გასაძარცვად დარჩა“; „საძმოს უნდა, რომ შეინარჩუნოს რეჟიმი, ვერ მოესწრებით!“; „პოროშენკო უნდა გამოიცვალოს ყველასთან ერთად, ვინც უკრაინა გაამათხოვრა!“

პეტრო პოროშენკომ მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა 2017 წლის ივნისში ჩამოართვა. სექტემბერში მიხეილმა მომხრეების დახმარებით, პოლონეთიდან მაინც შეაღწია უკრაინაში. სამართალდამცავებმა ის 2018 წლის თებერვალში კიევის ერთ-ერთ რესტორანში დააკავეს და იძულებით დააბრუნეს პოლონეთის ტერიტორიაზე. რაც მართალია, მართალია, კაი გვარიანადაც ათრიეს. ალბათ გახსოვთ, როგორ ჩამოათრიეს 2018 წელს უკრაინის სასაზღვრო სამსახურმა სააკაშვილს 2021 წლის თებერვლამდე აუკრძალა ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა.

როგორ ფიქრობთ, მიხო მოისვენებდა? არა, არავითარ შემთხვევაში, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდებოდა, ის კი პოლონეთიდან იმუქრებოდა: „როგორც მათ მე კიევიდან ვარშავაში გამაგზავნეს, ახლა მე ვარშავიდან ჩავფრინდები კიევში. ახლავე გეტყვით, რომელ საათზეა რეისი... 14:05-ზე... 2019 წლის 1 აპრილს, მე გადაწყვეტილი მაქვს დაშვება “ბორისპოლის“ აეროპორტში“. ასეთია ამ საერთაშორისო მაწანწალას ცხოვრება, გადაათრევენ, გადმოეთრევა, წაათრევენ, ჩამოეთრევა, დააპატიმრებენ, ტირის, თავს იკლავს, როგორც კი ძალას იგრძნობს, ჩვარია. პოროშენკოს ყელში ამოუვიდა, ერთ-ერთი სასტუმროს სახურავიდან ჩამოათრია და „კაპეზეში“ შეაგდო. ეგრევე მოითხოვა პასტა და ფურცელი, რათა წერილი გაეგზავნა პრეზიდენტისთვის. გაუგზავნა, მოინანია, მიჩუხანდა, იტირა, ცრემლები აღვარღვარა:

„მიუხედავად ბოლო მოვლენებისა, მე არ მაქვს არანაირი აგრესიული განზრახვები. თქვენ მე ძალიან კარგად მიცნობთ და კარგად გესმით ჩემი. ჩემი დადანაშაულება ფსბ-სთან თანამშრომლობაში არა მხოლოდ სრული აბსურდია, უფრო მეტიც, ახარებს უკრაინის მტერს. რაღა თქმა უნდა, მე დავუშვი და ვუშვებ ბევრ პოლიტიკურ შეცდომას, მაგრამ ახლა, როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ, საჭიროა დეესკალაცია და არ უნდა დავუშვათ სიტუაციის დესტაბილიზაცია. მზად ვარ, ნებისმიერ მომენტში შევხვდე ნდობით აღჭურვილ წარმომადგენელს და ყველაფერი განვიხილოთ. პატივისცემით მიხეილ სააკაშვილი“.

აი, ნახეთ, როგორ კარგად ჩანს „კაპეზეში“ შეგდებული მიხეილის ნამდვილი სახე — არანაირი აგრესიული განზრახვები არ მაქვს და სევრიგდეთო. იმ პერიოდში პოროშენკოს საერთოდ აღარ სჭირდებოდა მასთან მოლაპარაკება და რაიმე კომპრომისებზე წასვლა, სულაც ფეხებზე ეკიდა, მიიყვანეს ეს უბედური პოლონეთის საზღვართან და ამოჰკრეს ტრაკში პანჩური.

სულზე მოუსწრო მიხოს ვოლოდიმერ ზელენსკიმ — მისმა ე.წ. უნიჭო პატრონებმა ამასაც დაანიშნინეს თანამდებობაზე, რეფორმების საქმე ჩააბარებინეს. უკრაინაში ვერავინ გაიგო, რა ფეხები რეფორმატორი მიშაა, მაგრამ მაინც მიაშავეს კაბინეტი სიმბოლურად.

რაც ახლა ჩვენთან ხდება, ეს გახლავთ სააკაშვილის მესამე ოფიციალური თრევა. მეოთხე იქნებოდა, მე რომ გამეგო, როგორ დაბანაკდა სანზონაში ჩემი სახლიდან 200 მეტრში. მართალია, ძალიან გამიჭირდებოდა ამხელა მასის თრევა პლატონას დუქნამდე, მაგრამ ბიჭები მომეხმარებოდნენ, ავათრევდით როგორმე. წარმოგიდგენიათ? მე ღამე უდრტვინველად მეძინა, ამ დროს 200 მეტრში სააკაშვილი იყო წამოტრაკული და ქვეყნის არევ-დარევას გეგმავდა. რომ მცოდნოდა, რა მომასვენებდა?

რომ გითხრათ, სანზონიდან რუსთავში წაათრიეს-მეთქი, მოგატყუებთ. არ წაუთრევიათ იმიტომ, რომ წინააღმდეგობა არ გაუწევია, იგეთი იყო, „ბულბულივით“, ის კი არა, წყლის დალევაზეც კი ნებართვა ითხოვა. მხოლოდ ერთი ხინკლის შეჭმა მოასწრო, მოერიდა, ვერ სთხოვა პოლიციელებს, 5 წუთი დამელოდეთ, ბარემ შევჭამო. ეს მერე გახდა აგრესიული, როცა შიმშილობა გამოაცხადა და ამავე დროს ჭამასმა ვერ მიატოვა. ძნელია, როცა ხინკლიდან, ქაბაბიდან, მწვადიდან, ხიზილალიდან, შაურმიდან და ათასი დოზანიდან ფაფებზე გადადიხარ.

ვერ შვა მიხეილმა რევოლუცია, ვერც რევოლუციამ შვა გმირი მიხეილი. არა, მას კი უწოდებენ გია ბარამიძისნაირი დუნდუკები გმირს, მაგრამ ფაქტები არ გვაქვს. ზის და მოსთქვამს, მრავალფეროვანი „საავანტყოფო“ მინდაო. ესენი ეუბნებიან, მრავალფეროვან „საავანტყოფოს“ გლდანის ციხეში მოგიწყობთო. არაო, იქ ცუდი ადამიანები სხედან და მომკლავენო. მაინც გადაიყვანეს ციხის სამკურნალოში, პატიმრებმა დაუძახეს, მიშა, შე ტრაკოო. ციხის უფროსის მოადგილეს უთქვამს: ჩიტო, მოხვედიო. იწყინა, გაგიჟდა, ამ სახელმწიფოს ფუძემდებელს რანაირად მექცევითო? ერთზე საცემრადაც გაიწია, მერე რაღაც ძვირადღირებულ აპარატს გაჰკრა ხელი და დაამტვრია. მანამდე ოთხმა ბადრაგმა ძლივს შეათრია პალატაში. იატაკზე დადეს, არ დაუგდიათ. მაწანწალა სააკაშვილის ნაცვლად მე შემრცხვა, ამ ადამიანს არც თავმოყვარეობა აქვს, არც კაცობა, არც ზრდილობა, ჯერ გადაყვანის დროს ეძახა ყველას პუტინის მონები, მერე ფეხები გააფშიკინა, აქ არ მინდა, წამიყვანეთ ისევ რუსთავშიო. ფაშვი გადმოჰკიდებია, ძუძუები ჩამოსწელვია, მუცელი გაუპარსავს, გულ-მკერდიც მოუპრიალებია, ეს ვინ არი, სად გაჩნდა, სად გაიზარდა? შიმშილობსო, მალე მოკვდებაო, დამძიმებულიაო... ამას რა მოჰკლავს? ხუთი კაცი ეჭიდებოდა და ვერ გააჩერეს, იქით იწევდა. 42 დღის ნაშიმშილარი იყო, წარმოგიდგენიათ? წესით ფეხზე ვეღარ უნდა დამდგარიყო. მიხეილის ადვოკატმა, გვარად საძაგლიშვილმა სტრასბურგის სასამართლოს მიმართა, ძალიან გთხოვთ, დადგენილება გამოიტანოთ, რათა სააკაშვილი მრავალფეროვან „საავანტყოფოში“ გადაიყვანონო. სტრასბურგიდან პასუხი მოვიდა, მეტი საქმე არ გაქვთო? მაგას ურჩევნია, შიმშილობა შეწყვიტოსო. კიო, ჭკუაში დაუჯდა სააკაშვილს სტრასბურგის სასამართლოს მიერ ყასიდად ნათქვამი, შიმშილობას შევწყვეტ, ოღონდ მრავალფეროვანში უნდა გადამიყვანოთ, გორის ჰოსპიტალი არ გამაგონონ – იქიდან, რუსული საოკუპაციო ჯარისა და სპეცდანიშნულების დანაყოფები რამდენიმე კილომეტრში იმყოფებიან, რუსეთი ჩემი ლიკვიდაციის მთავარი დამკვეთიაო.

აუ, ტიპს ძალიან ეშინია, პუტინმა ბომბდამშენი არ გამოაგზავნოს და არ მომკლასო. არა, ხედავთ, როგორ საქონელთან გვაქვს საქმე? გორიდან გაიქცა, თავქუდმოგლეჯილმა მოცოცხა, 2008 წლის შემდეგ აღმა-დაღმა ირბინა, ყველას თავი მოაბეზრა და ახლა, როცა გორთან ახლოსაა, იფსამს, კანკალებს, მზადაა, ისევ მიწაზე იხოხიალოს.

სირცხვილი და თავის მოჭრა, ეს რანაირად იყო ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი? არ უნდა ყოფილიყო, ვერ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იყო... წარმოგიდგენიათ? იყო!

რა იქნება შემდეგ? ალბათ უახლოეს ხანში ისევ გადაათრევენ რუსთავის ციხეში, ამას სამკურნალო არაფერი სჭირს, ტვინი აქვს „დასაპაჩინკებელი“ და ეგ არი. თუმცა მაგისი მდგომარეობა მკურნალობას არ ექვემდებარება, სანამ მიწის ზემოთ არი, აეგრე უნდა ირბინოს. მე თუ მკითხავთ, დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი ერთ რამეს — მივიყვანდი იქ, საიდანაც შემოეთრა, ვკრავდი პანჩურს და დავაბრუნებდი უკრაინაში. ეგ აქეთ გამომხედი აღარ არი, იმედი გაუცრუვდა, ეგონა, მთელი საქართველო ბიძინა ივანიშვილის უღელში გმინავს და როგორც კი გამოვჩნდები, ყველა ფეხზე დადგებაო. იფიქრა, ჩემს დაპატიმრებას ვინ გაბედავსო? ირაკლი ღარიბაშვილის წინამორბედები რომ ყოფილიყვნენ, ალბათ ვერც გაბედავდნენ, გიორგი გახარიამ ნიკანორ მელია ვერ დააპატიმრა, კუდამოძუებული გაიძურწა, ხომ წარმოგიდგენიათ, სააკაშვილის დანახვაზე რა დაემართებოდა? რომ არა ირაკლი ღარიბაშვილი, მოვლენები სულ სხვანაირად წარიმართებოდა. ესეც ვერ გათვალა ავანტყოფმა სააკაშვილმა და ამიტომაც შემოეთრა!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

როგორ ბედავენ ვიღაც „ნასედკები“ და სუკის აგენტები სააკაშვილს ზვიად გამსახურდიას რომ ადარებენ?

ამიერიდან, აღარ აქვს მნიშვნელობა, სააკაშვილი ციხეში დარჩება, გამოიყვანენ, ქვეყნიდან წაიყვანენ თუ კვლავ პრეზიდენტი გახდება — სააკაშვილი დამთავრებულია!

გვესაუბრება იბერიულ-კავკასიური მოძრაობის ხელმძღვანელი ბესო მიქავა:

— ბატონო ბესო, ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი უკრაინიდან არაერთხელ აზმოვანებდა, რომ ჩამოვიდოდა საქართველოში და აი, ის ახლა აქ არის. შეიცვალა ამით რამე?

— პირველ რიგში, მივესალმები ჩემთვის პატივსაცემ „საერთო გაზეთის“ მკითხველებს. მე ყოველთვის სიამოვნებით ვსაუბრობ თქვენი გაზეთისთვის, რადგან ვიცი, მას ანგარიშს უწევენ,



როგორც მკითხველები, ასევე, სხვებიც...

ახლა, რასაც ვიტყვი, იმან, შეიძლება, სკეპტიკოსებში ღიმილი გამოიწვიოს, მაგრამ, სინამდვილეში, სულ არ არის ასე.

დაინტერესებულებმა გადაშალონ „საერთო გაზეთის“ 29 სექტემბრის ნომერი, სადაც მე ვამბობდი, რომ მიხეილ სააკაშვილს საქართველოში ჩამოიყვანდნენ. საიდან, როგორ, რა ინფორმაციებზე დაყრდნობით ვამბობდი ამას, მოდით, დავტოვებ, ამჯერად, უპასუხოდ.

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მისი აქ ჩამოსვლით არ იყო დაინტერესებული მხოლოდ ერთი მხარე. ამ მხარეებს შორის ერთ-ერთი და წარმმართველი იყო და არის ის ე.წ. არმენული ლობი, რომელზეც არაერთხელ მისაუბრია.

თქვენ იცით, დაძაბული კონფლიქტი აქვს უკრაინას და რუსეთს. მხოლოდ ზელენსკი ამას რუსეთს ვერ გაუბედავდა. არიან ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, საქართველოც ჩაებას რუსეთის წინააღმდეგ ქმედით კონფლიქტში. კიდევაც ხედავთ, ე.წ. ოპოზიციის ლიდერები თავიანთი აუდიტორიის ყურადღებას რუსეთისკენ რომ მიმართავენ. ამასთან ერთად, საყურადღებოა, რომ აქციებზე პირველად გამოჩნდა თურქეთის დროშა.

თუ ჩვენს ერთგულ მკითხველს ახსოვს, არაერთხელ მითქვამს, რომ არსებობს ერთგვარი გარიგება არმენულ ლობსა და რუსულ-ამერიკულ ძალებს შორის. რადგან არმენული ლობის მიზანი არის საქართველოს დასუსტება-განადგურება, ამ ეტაპზე საჭიროა განახლდეს კონფლიქტი რუსეთ-საქართველოს შორის. არ ვიცი, ნებსით თუ უნებლიეთ, სააკაშვილი გახლავთ არმენული ლობის ერთგული ხელი.

მიხეილ სააკაშვილს 2003 წლამდე და მერეც ლობირებდა პეტერსონ ბენკლაფის ჯგუფი, რომელიც სომხური ლობის წარმომადგენელია ამერიკაში.

ამაზე მაშინ შალვა ნათელაშვილი ლაპარაკობდა აქტიურად — ოქრუაშვილი, სააკაშვილი და სხვები პეტერსონ ბენკლაფის არმენული ლობის მიერ არიან დაფინანსებული, სოროსის ფონდის მხარდაჭერასთან ერთადო.

მოკლედ, საქართველო-რუსეთს შორის ღია კონფლიქტი უნდა დაიწყოს და ეს ხელს აძლევს თურქეთსაც. ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, დღეს უკრაინას უმაგრებს ზურგს რუსეთთან წინააღმდეგობაში.

აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ ყოველივე ეს არ შედის ისრაელის ინტერესებში და ისრაელიდან ახლახან დონაციაც დაიწყო საქართველოში იარაღის წარმოებასთან დაკავშირებით.

ისრაელმა მშვენივრად იცის, რომ საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც არასდროს ყოფილა ანტისემიტური გამოვლინებები და თუკი აქ გაბატონდება რომელიმე სხვა ერი, საქართველო გახდება რეგიონში დასაყრდენი ებრაული ძალების საწინააღმდეგოდ. გავიმეორებ არაერთხელ ნათქვამს: ვინც ფლობს საქართველოს, ის ფლობს კავკასიას, ხოლო ვინც ფლობს კავკასიას, ფლობს ახლო აღმოსავლეთს.

ახლო აღმოსავლეთში დღეს დიდძალი იარაღია აშშ-ის მიერ დატოვებული, რომელიც მოსალოდნელია, ისრაელის წინააღმდეგაც გამოიყენონ...

ერთი სიტყვით, ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური რეალობის დადგომით, რეგიონშიც უნდა შეიცვალოს ვითარება და ამ ფონზე, სააკაშვილი ქვეყნისთვის სიკეთეზე რომ ფიქრობდეს, ამის მაგივრად, საკუთარი მიზნებისთვის იბრძვის. ის ძალაუფლებაზე ავადმყოფურად შეყვარებული ადამიანია. მას არ ჰყოფნიდა უკრაინაში თანამდებობრივი პოსტები და სურს, კვლავ საქართველოს კისერზე მოაჯდეს... იმდენად უპასუხისმგებლოა, რომ უკრაინაში თანამდებობა მიატოვა, ქურდულად გამოიპარა იქიდან და საქართველოშიც ქურდულად შემოიპარა.

გაოგნებული ვარ: ეს რა კადრები ვნახე — არეული, გაუბედურებული საკანი, თმაგაჩეჩილი მიშა. ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობა ხომ უნდა ჰქონდეს — პრეზიდენტი იყო ბოლო-ბოლო, „ბომჟი“ ხომ არა.

ჩემს ფეისბუქ-გვერდზე მე ახლახან გამოვაქვეყნე რუმინეთის პრეზიდენტის ნიკოლაე ჩაუშესკუს დახვრეტის კადრები. კაცი დასახვრეტად მიჰყავთ ისე, რომ ვაჟკაცურად მიაბიჯებს, ხმაც არ ამოუღია, ისტერიკაში არ ჩავარდნილა ამ არაკაცისნაირად. და საერთოდ, როგორ ბედავენ, რომ ვიღაც ნასედკები და სუკის აგენტები სააკაშვილს ზვიადს ადარებენ.

თქვენ იცით, მე ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი ვიყავი და მშვენივრად მახსოვს, ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიც კი ზვიადი ამაყი იყო, თავაწეული, პირიქით, ჩვენ გვამხნევებდა. სრულ ბლოკადაში რომ ვიყავით, ის პანიკაში არასდროს ჩავარდნილა.

— როგორც ზვიადი გარდაიცვალა მოწამეობრივად, ასევე ღუპავენ პრეზიდენტყოფილ სააკაშვილსო.

— ყოვლად უადგილო შედარებებს აკეთებენ. ზვიად გამსახურდია განდევნილი იყო ქვეყნიდან,

სააკაშვილი გაიქცა 2012 წლის არჩევნების შემდეგ.

ზვიად გამსახურდია უზენაესმა საბჭომ დააბრუნა საქართველოში, სატვირთო მანქანას კი არ ჩამოჰყოლია.

— ბატონო ბესო, აქ, სავარაუდოდ, საუბარი აქვთ მხარდამჭერთა რაოდენობაზე. როგორც ზვიადს, ასევე მოშიმშილე სააკაშვილსაც ჰყავს მრავალრიცხოვანი მხარდამჭერებიო, ერისთვის საყვარელი კაციაო, თანაც მომხრეთა რიგებში, გაითვალისწინეთ, ე.წ. „ზვიადისტებიც“ არიან.

— ნება მომეცით, ყველაფერი აგიხსნათ და გთხოვთ, ნუ შემაწყვეტინებთ. ზვიად გამსახურდია იყო ლეგიტიმური, მოქმედი პრეზიდენტი. სააკაშვილი, ამჟამად, არ არის პრეზიდენტი.

ზვიად გამსახურდია გარე ძალებმა განდევნეს საქართველოდან. მიხეილ სააკაშვილს უარი უთხრა ქართველმა ხალხმა არჩევნებზე და არა ჯარმა და პუტჩმა. მეტიც, ქართველი ხალხი მოითხოვდა „ნაცმოძრაობის“ და მიხეილ სააკაშვილის გასამართლებას, რომლის გადასარჩენად კვლავ გარე ძალებმა შემოგვიგდეს კოჰაბიტაცია და საერთოდ, როგორ შეიძლება განდევნილი პრეზიდენტის და ხალხის მიერ გაგდებული ადამიანის შედარება?!

სააკაშვილი დაბრუნდა, რომ ძალადობით ჩაიგდოს ხელისუფლება, ზვიად გამსახურდიას დაბრუნების მიზანი იყო, მოეგვარებინა კონფლიქტი აფხაზეთში. ამას შეეწირა კიდევაც. ზვიადი რომ არა, აფხაზეთი კი არა, სამეგრელოც დაკარგული გვექნებოდა დღეს და ამის დამადასტურებლად დოკუმენტური მასალებიც შემიძლია წარმოგიდგინოთ.

რაც შეეხება სააკაშვილის მომხრეებს — ვინც ზვიადთან ნასედკებად „მუშაობდნენ“, დღეს ყველანი სააკაშვილის გვერდით დადგნენ, ეს იუდას ვერცხლზე გაყიდულები.

— ვის გულისხმობთ კონკრეტულად, მაგალითად, ეკა ხერხეულიძეს?

— ეკა ხერხეულიძე, გოგი ხოშტარია, წიკლაურების ოჯახი, სხვები, თუმცა ესენი წვრილ-წვრილი ნასედკები არიან. უფრო მსხვილი ღლავებიც არსებობენ.

ეკა ხერხეულიძე არის ის ქალი, რომელიც ცოტნე გამსახურდიას სასტიკად დასჯას ითხოვდა მაშინ, როცა სააკაშვილმა ცოტნე სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააკავა.

67 დღე შიმშილობდა ცოტნე გამსახურდია. დედა — მანანა არჩვაძე-გამსახურდია ეხვეწებოდა ყველას, სთხოვდა სააკაშვილის დედას, თავად სააკაშვილსაც, რომ მომაკვდავი ცოტნე საავადმყოფოში გადაეყვანათ. იგივეს ითხოვდა, რასაც ახლა სააკაშვილის დედა ითხოვს და რა, მერე, კაციშვილმა ყურადღება არ მიაქცია და ცოტნე ციხიდან რომ გამოვიდა, ისეთ დღეში იყო, სკამზე ვერ ჯდებოდა, ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული. მაგრამ საინტერესოა, რომ ცოტნე გამსახურდიას შიმშილობა არ დაუწყია საკუთარი პრობლემების გამო, მან შიმშილობა დაიწყო ციხეში არსებული გაუსაძლისი პირობების გამოსასწორებლად. მოგეხსენებათ, იხოცებოდნენ პატიმრები. არა მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლებამ, არამედ უცხოეთმაც არ მიაქცია ყურადღება მაშინ ცოტნეს არც შიმშილობას და არც თხოვნას.

ახლა მიშა რომ ვითომდა შიმშილობს და მისი პარტიის წევრები თავ-პირს რომ იმტვრევდნენ არჩევნებში, დამჯდარიყვნენ და თავადაც ეშიმშილათ თავიანთი დავით აღმაშენებელის გვერდით.

— სააკაშვილი მავანთათვის ხან ზვიად გამსახურდიას ანალოგი პოლიტიკოსია, ხან — დავით აღმაშენებლის, ხან — დემეტრე თავდადებულის.

— ეს ეშმაკობაა, რომელიც გათვლილია, პირველ შემთხვევაში, ზვიად გამსახურდიას მომხრეებზე, მეორე შემთხვევაში კი მორწმუნე მრევლზე და ადამიანს, რომელსაც საკუთარი სახე არ გააჩნია, ადარებენ გმირებს.

ზვიად გამსახურდია არასდროს არავის შეუდარებია ვინმესთვის. მამამისისთვის, დიდი კონსტანტინე გამსახურდიასთვისაც კი. ზვიადი იყო ზვიადი. გმირები თვითონ ქმნიან ეპოქებს.

სააკაშვილი არის უსახო, უავტორიტეტო კაცი.

სხვათა შორის, 2003 წელს, როცა მის მოსვლას დიდ მოვლენად აფასებდნენ, ვიდეოსიუჟეტიც ჩავწერე, სადაც ვამხელდი. ასე რომ, სააკაშვილს ახლა კი არა, 2003 წლიდან კი არ ვებრძვი, არამედ ვამხელ. ვააშკარავებ.

სააკაშვილს არავითარი საფრთხე ციხეში არ ემუქრება. თუ ვინმეს უნდა მისთვის ცუდი, ეს არიან მისი მომხრეები, რომლებსაც უნდათ ტრაგედია სპეკულაციისთვის და „ქართული ოცნების“ გარკვეულ ჯგუფს, რომელთაც სურთ არეულობა, რომ კონფრონტაცია შეიქმნას რუსეთთან, საქართველოს სრული ოკუპაცია-ანექსიის განსახორციელებლად.

— ანუ, როგორც ერთ ქართულ ზღაპარშია — მგელი მოვიდაო, მატყუარა მწყემსი რამდენჯერმე რომ გაიძახის, რუსეთი, რუსეთიო, რომ ყვირიან, ახლა, რეალურად, არსებობს ეს საფრთხე?!

— რეალური საფრთხე არსებობდა, თუმცა ამჟამად შემცირდა ეს საშიშროება. საქართველოს ხელისუფლებამ გონივრულად იმოქმედა სააკაშვილთან მიმართებაში...

ის ე.წ. მუხტი, რომელიც არავითარი მუხტი არ იყო სინამდვილეში, სულ მალე გაქრება. პარტაქტივი, რომელიც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა, როგორც ვიცი, იშლება.

ეს კინო ნანახი გვაქვს.

„მრგვალი მაგიდის“ სპიკერის თენგიზ კიკაჩეიშვილის მოქმედებები მახსენდება. ეროვნული მოძრაობის აქციები რომ იმართებოდა შევარდნაძის წინააღმდეგ, კიკაჩეიშვილი ხალხს ყოველდღე სხვადასხვა ადგილას ატარებდა და ხალხი დაიღალა ბოლოს.

მაგრამ აქ საინტერესოა ისიც, რომ „ქართულ ოცნებაში“ არსებობენ ძალები, რომლებმაც, ჩვენდა საბედნიეროდ, როგორც ვთქვი, გააუვნებელყვეს სააკაშვილი, როგორც ნაღმი, მაგრამ იქვე არსებობენ „ოცნებაში“ ძალები, რომლებსაც „ნაცმოძრაობასთან“ აქვთ კუდები გადასკვნილი. და ხელს უშლიან საქართველოს, იმ მარყუჟიდან დაიხსნას თავი, რომელსაც რუსეთი ცალკე, თურქეთი, აშშ, ანგლოსაქსური ჯგუფების ინტერესები უჭერებენ.

სააკაშვილი როგორც კი ჩამოვიდა, ხომ გახსოვთ, მაშინვე თქვა: ებრაელის ჭკუაზე დადიანო.

სააკაშვილის „ფარჩაკი“ ხასიათიდან გამომდინარე, გმირი არ შეიქმნება.

— ბატონო ბესო, ასეც ნუ ვიტყვით, მიხეილ სააკაშვილი ვიღაცებისთვის არის გმირი.

— მომისმინე, ჩემო კარგო, აქციებზე დავბერდი, რომ იტყვიან და კარგად მახსოვს, ეროვნული მოძრაობის აქციებზე 100 000-ობით ხალხი რომ იკრიბებოდა ზვიადის და მერაბის დაძახილზე, ის ხალხი ვინმეს რეგიონებიდან კი არ ჩამოჰყავდა, თბილისში იკრიბებოდნენ ეს ადამიანები. ახლა, ვითომ მიშას დასაცავად, მთელი საქართველოდან ჩამოჰყავთ ფულით მოსყიდული ხალხი და რუსთაველის პროსპექტს მაინც ვერ ავსებენ, თანაც, რამდენი მომხრეც უნდა ჰყავდეს სააკაშვილს, ეს მის სიმდაბლეს ვერ შეცვლის.

სამწუხაროა მათთვის, მაგრამ ეს სპექტაკლი დამთავრდება სააკაშვილის სრული „გაფარჩაკებით“. ის უკვე დამარცხდა საქართველოში ქართველების წინაშე და ქართველების ხელით და ყოველი მისი ნაბიჯი, აწი, მის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სასწაულიც რომ მოხდეს და ხელისუფლება ისევ რომ ხელში ჩაიგდოს, მაინც წაგებული აქვს ეს თამაში. კურდღელია სააკაშვილი და ეს დაამტკიცა, საპატიმროში ფაფას რომ აცმაცუნებდა.

ამიერიდან, აღარ აქვს მნიშვნელობა, სააკაშვილი ციხეში დარჩება, გამოიყვანენ, ქვეყნიდან წაიყვანენ თუ კვლავ პრეზიდენტი გახდება. სააკაშვილი დამთავრებულია!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

არ მეგონა



კომუნისტურ ჯოჯოხეთში, უღმერთობაში დავიბადე, უფლის სიყვარულს გვიკრძალავდნენ. სამლოცველოები, ეკლესია მონასტრები დაგვინგრიეს, სისხლის მსმელები, უფლისმოძულენი გააღმერთეს... მსგავსი სისასტიკე ადამის მოდგმას არ ახსოვს. ბავშვობიდან ბელადებზე ლექსებს გვასწავლიდნენ, სამშობლოც შეგვიცვალეს, რწმენაც. დიდგორის მაგიერ, გვასწავლიდნენ ივანე მრისხანეს, ჩუდის ბრძოლას. აგვიკრძალეს გორგასლის, აღმაშენებლის, ხსენება... სკოლაში აღდგომის მეორე დღე ჯოჯოხეთი იყო მრავალთათვის. მერხზე ხელებს დაგვაწყობინებდნენ, სკოლის დირექტორი, პიონერთა ხელმძღვანელი, კომკავშირის მდივანი, გულმოდგინედ გვითვალიერებდნენ ხელის გულებს, თითებს, თუ ვისმეს შეწითლებულ ფერს აღმოუჩენდნენ ხელზე, თითზე ვაი უშველებელი საზაზავი დაგვატყდებოდა თავს. ჯერ პიონერი იყავი, მერე კომკავშირელი, მერე... მერე რაც უფრო მეტად იყავი ნაქლაქი, გაიძვერა კომუნისტობითაც გაჯილდოებდნენ... 80-იან წლებში საქართველოში 600 000 კომუნისტი იყო, კომუნიზმის, ამქვეყნიური სამოთხის მშენებელი... ბოლოს, როგორც ყველა იმპერია, სიცრუის, ბოროტების იმპერიაც დაინგრა. აშენებულ კუმუნიზმს ახლაც ეძებენ, მაგრამ ვერსად იპოვეს... მერე იყო არჩევნები და უდიდესი სიხარული... ხალხში მამულის სიყვარულმა გაიღვიძა, აირჩიეს ხალხის ხელისუფლება... მაგრამ ... ქართულად მოლაპარაკე ეშმაკებმა, უფლისმოძულეებმა, ვითომ ქრისტიანებმა შობის მარხვაში იარაღით, ცეცხლით და მახვილით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, და... ჩამოდგა ჯერ არგაგონილი განუკითხაობის ჟამი... „სხვა დრო, სხვა ჟამი ჩამოდგა“... ქვეყნის მოღალატეებმა სამშობლოს სიყვარულისთვის დასაჯეს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მამულიშვილები, პარლამენტარები, უფლის მოლაშქრენი...დღევანდელი სინამდვილე იმ ხენეში ხის ხენეში ნაყოფია, რომელიც 30 წლის წინ შევარდნაძის, სიგუა-კიტოვანი-იოსელიანის ბანდებმა დარგეს... დღეს ქვეყანაში ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს. კომუნისტური ჯოჯოხეთის დროს ერთი მტერი რუსული იმპერიული რეჟიმი გვყავდა, დღეს კი,... ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ, ამდენი დაუძინებელი, შინაური, გარეული მტერი, დღეს რომ გვყავს საქართველოს არასოდეს ჰყოლია... ამდენი ქართულად მოლაპარაკე ღვთისმგმობელი, ქართველთ მოძულე არასამთავრობო ორგანიზაციები, ვითომ პარტიათა ყაყან-ქაქანი, საშოგამომხმარ დიაცთა წივილ-კივილი... რა სპექტაკლები არ ვნახეთ, ა, ეს არის თქვენი მომავალი პრეზიდენტიო, გახსოვთ, როგორ გაგვაცნო უწიგნურმა შევარდნაძემ უწიგნური, კაკებეს სკოლადამთავრებული ხუნტრუცა სააკაშვილი, ცხოველური ინსტიქტებით შეპყრობილი. „სააკაშვილი მიშაო, ბოროტებისგან იშვაო, ქვეყანა რუსს მიაბარა, დაამახინჯა შიშმაო“ — მღერის ჩემი მეზობელი. ზოგიერთმა ქალბატონმა ოქროულობა, ნიშნობის ბეჭდებიც მოაგროვა და თურქეთის ბაზრებში ნიფხავ-კაბებზე გადაცვალა. ღირსებააყრილ, განვითარებად ქვეყნებს შორის მოიხსენიება ერთ დროს ევროპული რენესანსის მესაძირკვლე ქვეყანა, შემოქმედი, უნიჭიერესი ერი. ამდენი ჭკუის დამრიგებელი, ჭკუის მასწავლებელი გაეროდან დაწყებული, ევროკავშირით დამთავრებული დღეს რომ გვყავს საქართველოს არასოდეს ჰყოლია... ერთი სიტყვით, საქართვლელო დაგვეკარგა და დავეძებთ ბნელში ქართველები ერთმანეთს. დღეს ქართლის ჭირს, მართლაც ვერავინ მოთვლის...

არ მეგონა, თუ დაგვიბრმავდებოდა, უფლისკენ მაცქერალი თვალი და უსულგულობა, უკეთურობა დაგვრევდა ხელს.

არ მეგონა, თუ ასე დაასნეიანებდა სულს ძველთაძველი სენი, „განცხრომა, ჭამა, ყიზილბაშური ხორცით გასვენება, ტყუილი, კეკლუცობანი, სიძვა-მრუშობა“.

არ მჯერა, საქართველო რუსეთის იმპერიალისტურ ხახას თავდაღწეული, პატარ-პატარა პარტიებად, უფლისა და ქვეყნის მოძულე არასამთავრობო ორგანიზაციებად თუ დაიშლებოდა, და გამეფდებოდა „სირეგვენე შეუწონარი“.

არ მეგონა, თუ ასე გახმებოდა „ყანა უფლისაო“, აეკვრებოდა მუცელი ზეცას და დაეცემოდა სული მიწას. არ მეგონა, ქვეყანა, უმწეო, უპირატესობათა მტკიცების ასპარეზი თუ გახდებოდა.

უფალო, მოჰგვარე ქართულად მოლაპარაკე ეშმაკებს, უღმერთოებს, საშოგამომხმარ დიაცებს, მოღალატე არასამთავრობოებს, მუქთამჭამელ პარტიებს მამულის ბედი, ხელისუფლება უფლისა და სამშობლოს მოყვარულ მამულიშვილებს მიამადლე, მოგვაშორე უფლის მგალობელნი, მოყვასის მოძულენი, უფალო, აღადგინე სამართალი.

იმედია, დაგვიბრუნდება მხედველობაი სულისა, ეშმაკისეულ კნავილ-ბღავილს „ლილეო, მრავალჟამიერი“ შეცვლის, ისევ სიყვარულით აძგერდება გული საქართველოისა, იმედია,... იმედია ისევ ავქართველდებით!

დაბოლოს, ამ დღეებში დაწერილ ჩემს ერთ ლექსს გთავაზობთ, რომელსაც „სატირალი სახუმარო“ ჰქვია

სატირალი სახუმარო

შემოდგომით აქცია,
ზამთარ-ზაფხულ აქცია,
სულ ყოველდღე აქცია,
აქციებმა შური, გესლი,
ანთხია და აქცია.
ზეცა თავზე ჩამაგვამხო,
თავზე ჩამოგვაქცია,
ქვეყანა დააქცია,
ქალი, კაცი აქციამ
ეშმად გადააქცია,
ყაყანეთის აქცია,
ქაქანეთის აქცია,
ბოროტებას დაუწესე,
ღმერთო! დიდი სანქცია.
საქართველოს გეშინოდეთ,
მაცხოვარის გეშინოდეთ,
იგი ზოგჯერ მკაცრია.

ირაკლი ვაშაყმაძე



მიშმადიანური პოეზიის საწყისებთან

არწივი ნახეს დაჭრილი, ბადრაგებს ეომებოდა

მიხეილ სააკაშვილის შემოპარვამ მხოლოდ მისი მიმდევრები კი არ აღაფრთოვანა, მათში პოეტური გრძნობებიც აუშალა... პოპულარულად რომ ვთქვათ, მუზები აუფორიაქა. მათთვის ასეთი შემოსვლა (შემოპარვა) იყო და არის რომანტიკული აღტყინების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. სხვათა შორის, სწორედ ახლა გაიგო ამ უნიჭო და ბნელმა საზოგადოებამ (მიშმადიდებლებს ვგულისხმობ), რომ თვით მიხეილ სააკაშვილსაც უცდია თავის დროზე პოეზიის რთულ ლაბირინთებში შემოჭრენება, სამკუპლეტიანი ლექსიც დაუწერია, მაგრამ შემდგომში, ცხადია, მოუცლელობის გამო, ამ ხელობას შეეშვა და მუშაობა პრეზიდენტად დაიწყო. თუმცა, როგორც მისი კლასის ხელმძღვანელი ამტკიცებს (გვარს არ დავასახელებ), მიხეილის ნათქვამი მხატვრული სიტყვა იყო იმდენად ძლიერი, იმდენად ნატიფი, იმდენად ფასეული, რომ მან შეინახა და როგორ გგონიათ, როდის გამოაჩინა? ახლა, სწორედ ახლა, როცა მისმა ნამოწაფარმა საკუთარი სიცოცხლე სასწორზე გმირულად დადო. მეგობრებო, ესენი, მიხეილის მიმდევრები ფიქრობენ ასე, თორემ მე და თქვენ კი ვიცით, რა პოეტური „ბაგაჟიც“ გააჩნია ორმეტრიან ჩოილარს. მოდით, საუბარი ზოგადი რომ არ გამოგვივიდეს, ჯერ ვნახოთ, წავიკითხოთ, რა



დაწერა სააკაშვილმა 1984 წელს, 17 წლის ასაკში:

„გააჩირაღდნეთ ხვალის სანთელი,
დღეს უდიდესი არის დროება,
წინ ვაჟკაცისთვის გზაა ნათელი,
მხდალთათვის ფუჭი ამაოება.
ყური დაუგდეთ ასე ამაყად
არ ჟღერს დღეს არსად არცერთი ზარი
და არსად ქვეყნად ასე ლამაზად
არ გაიღება შენობის კარი.
ნუ დაღონდებით, არის ზედმეტი,
დღეს ჩვენ ყველაფერს ვიწყებთ თავიდან,
დრო მალე გარბის, უკვე თერთმეტი,
მთელი თერთმეტი წელი გავიდა“.

მიხეილის კლასის დამრიგებელი მიმართავს თავის მოწაფეს, შე უაღრესად ნიჭიერო, ქვეყნის დამფუძნებელო და გადამრჩენელო, შეწყვიტე შიმშილობა, შენ ხალხს სჭირდებიო. მე შენი პოეზია შთამომავლობას შემოვუნახე, მსგავსი რამ არც კი არსებობსო. რასთან გვაქვს საქმე, მეგობრებო, უნიჭობის ნიჭიერულად წარმოჩენასთან ხომ არა? „ნაციონალების“ ხელწერაა: მოღალატე გმირია, მაწონი შავია, კიტრი კლარნეტია, უნიჭო მიეთ-მოეთი შედევრია. მოდით, არ დავიზაროთ, ზერელედ მაინც გავარჩიოთ (მეტს არც იმსახურებს) და ვნახოთ, რა სახის სიბეცეს გვასაღებენ ე.წ. შედევრად, როგორ უქვეითებენ ჩვენი გოგო-ბიჭების ნაწილს გემოვნებას, რეალობის აღქმის უნარს, ცუდისა და კარგის გარჩევის უნარს, როგორ უჩლუნგებენ ისედაც დაჩლუნგებულ გონებას.

გააჩირაღდნეთ ხვალის სანთელიო, დასჭყივლა პუბლიკას ჯერ კიდევ 1984-ში მიხეილმა და მას ტაში დაუკრეს, ოქროს მედალი გადასცეს. სრული უვიცობა, სანთელს კი არ აჩირაღდნებენ, უბრალოდ ანთებენ და შემდეგ ლოცულობენ. ჩირაღდანი ხისგან გაკეთებული სანათია, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ ქუჩების, ეზოებისა თუ სასახლეების გასანათებლად. ახლაც იყენებენ ოლიმპიური თამაშების პერიოდში. შუა საუკუნეებში ჩირაღდანს ხმარობდნენ იარაღადაც. ჰოდა, რა შუაშია აქ სანთლის გაჩირაღდნება?

დღეს უდიდესი არის დროებაო, არ ჩერდება პოეტურ ქადაგად დაცემული მიხეილი. დღეს არის დროებაო, რა სისულელეა? ასე დროთა აღრევა როგორ შეიძლება? ესე იგი, სააკაშვილის მტკიცებით, დღეს არის დრო, თანაც უდიდესი.

წინ ვაჟკაცისთვის გზაა ნათელი, მხდალთათვის ფუჭი ამაოებაო, ასკვნის შემდეგ და აქ უკვე იჭედება, პლაგიატობს, ეს ჩემისა. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ მიხეილი გალაკტიონს კითხულობდა წამდაუწუმ და მისი გავლენა დაეტყო, არა, ვფიქრობ, სპეციალურად გამოძებნა ისეთი პოეტის „ნაშრომი“, რომელიც მის „დონეს“ დააკმაყოფილებდა. გალაკტიონს აქვს ერთი ლექსი – „სიახლე დღეთა ესევითარი“, სადაც ასეთი სტრიქონებია:

„გადავარღვიოთ
სივრცე, დროება,
ნუ დაფიქრდები:
ვერას დაგვაკლებს ამაოება“!

დროება, ამაოებაო, იძახის გალაკტიონი და იგივეს იმეორებს სააკაშვილი.

წინ ვაჟკაცისთვის გზაა ნათელი, მხდალთათვის ფუჭი ამაოებაო, ამბობს სააკაშვილი და თითქმის იგივეს იმეორებს ნიკოლოზ ბარათაშვილი:

„არ ვიცი, ამ დროს
ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და
მხოლოდა ამაოება“?

ვატყობ, მიხეილის პოეზიას ძალიან არ უნდა ჩავუღრმავდეთ, თორემ შეიძლება ჯორჯ ბაირონამდე მივიდეთ.

„ნუ დაღონდებით, არის ზედმეტი,
დღეს ჩვენ ყველაფერს ვიწყებთ თავიდან“!

ეს სტრიქონები გახსოვთ? თუ არა, გაგახსენებთ... ერთ-ერთ წინასაარჩევნო აქციაზე ხატია დეკანოიძე გამოვიდა და განაცხადა, სააკაშვილის დაწერილი სიტყვები გადმომცეს, არც კი ვიცოდი, ლექსებსაც თუ წერდაო, წაგიკითხავთ, ცრემლები თუ არ წამოგივათ, ჟრუანტელი მაინც დაგივლითო. წაიკითხა, ბოლოს ძალიან „წაუმწვეტა“, ანუ გაამძაფრა და ჟრუანტელმაც დაუარა. მას მხოლოდ ორი სტრიქონი მიაწოდეს, მეტი არ ჰქონდათ, სამივე კუპლეტი რომ მიეწოდებინათ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა?

თავი ისახელა ნატო ჩხეიძემაც, მწერლური ოჯახიდან გამოსულმა ქალბატონმა, ოთარ ჩხეიძის შვილმა და როსტომ ჩხეიძის დამ, სულ მცირე, სასვენი ნიშნების გამოყენება მაინც უნდა იცოდეს და ცოტა ნორმალურად მაინც უნდა აზროვნებდეს. მოკლედ, ნატო ძალომ ასეთი ლექსი დაწერა:

„სიზმრად ვიხილე მე გალავანი,
ზედ ფრიალებდა დროშა ხუთჯვრიანი.
ეს ნიშანია მეგობრებო, ნიშანი იმისა,
რომ სააკაშვილი გაიმარჯვებს“.

ეს იმ სააკაშვილის გამარჯვებაზე ოცნებობს პოეზიურად, გაპრეზიდენტებისთანავე „იბერიას“ რომ მიაკითხა სპეცრაზმით და წიხლებით შესდგა. მაზოხისტები არიან, ეს ჩემისები, ჯერ ამისმა ქმარმა, ზაზა ოქუაშვილმა დაუწყო გინება ბიძინა ივანიშვილს, ქრთამი მომთხოვაო, მითხრა, ამდენს და ამდენს მოიტანო, მერე 55 მილიონი დოლარი შეიტყაპუნა, ბიუჯეტს არ გადაუხადა, თავისი ტელევიზია დახურა, თანამშრომლები მშივრები დატოვა, ნამუშევარზე უარი უთხრა, ქუჩაში გამოყარა და ლონდონში გაიქცა. ახლა მისი ცოლი ნატო იძახის, სიზმრად ვიხილე მე გალავანიო, ზედ ფრიალებდა დროშა ხუთჯვრიანიო. და დაასრულა პროზაულად. ნეტავ ან პოეზიისა ესმოდეს რამე, ან კიდევ პროზისა, მაგრამ მაინც ეგრე გამოუვიდა, ეს სააკაშვილის გამარჯვებას ნიშნავსო.

სხვათა შორის, როგორც კი სააკაშვილი რუსთავის ციხეში შეიყვანეს, მისი მტკიცებით, თურმე ერთი ბადრაგი საკანში შევარდნილა და ფურცელი დაუგდია. რა ეწერა საკანში შეგდებულ ფურცელზე? აი, ეს (სტილი დაცულია):

„ეჰ, დედათქვენსა ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორემ ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს გაფანტულს ველადა“.

გეცნობათ? ნეტავ საიდან? თითქოს ვაჟა-ფშაველას დაწერილია, თითქოს ჰგავს, მაგრამ არცა ჰგავს, მისი ლექსი სხვანაირად იწყება... ის ამბობს:

„ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა“!

თითქოს ჰგავს ვაჟას ლექსი ბადრაგისას, თითქოს სტილიც ერთნაირია... თუმცა ის (ბადრაგისა) უფრო შემტევი და ყოვლისმომცველია. მიხეილს უთქვამს ეკა ხერხეულიძისთვის, ნახე, როგორ ლექსებს მიძღვნიან ბადრაგებიო, უბრალოდ სახეებს ვერ აჩენენ, აეგრე შემომიგდებენ ხოლმე და ქრებიანო.

ისე, რაღა დაგიმალოთ და ამ დღეებში, მიხეილის შემოხეტების შემდეგ ყველაზე რომანტიკული მაინც ლევან ვარშალომიძე იყო, მან მიშმადიანობაში გია ბარამიძესაც კი გაასწრო:

„მე არ ვარ უბრალოდ მიშას თანამებრძოლი და მიშისტი. პირდაპირი მნიშვნელობით, მიშაა ჩემში“.

პირდაპირი მნიშვნელობით, მიშაა ჩემშიო. გამოდის, რაღაცნაირ ჩასახვას აქვს ადგილი, ხდება ხოლმე ასეთი რამეები ამ დუნიაზე. ამას წინათ გამოაცხადეს, რომელიღაც ქვეყანაში კაცმა იმშობიარაო.

ვერც ნუგზარ წიკლაურმა მოითმინა, მანაც წამოავლო კალამს ხელი და დაწერა, ოღონდ მას მერე, „ქართულმა ოცნებამ“ 100 ათასზე მეტი ადამიანი რომ გამოიყვანა თავისუფლების მოედანზე:

„ბიძინას დროშა გაშალეს,
შეკრიბეს ქოცთა ლაშქარი,
ხუთი თუმანი ჯიბეში,
ცოცხია მათი აბჯარი.
წითელაშვილი მოუძღვით -
ლიდერი მარათონისა...
დაიტევს ამდენ გმირებსა
პროგრამა მეტადონისა“?!

არა, რააა, თითქოს კარგად დაიწყო ნუგომ, სტილისტურადაც გამართა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩაიკუკა, მეტადონის პროგრამაზე სულ „ნაცები“ სხედან, აქ „ოცნების“ ლაშქარი რა შუაშია? ხუთი თუმანი ჯიბეშიო, იცის, ამ თუქსუსმა, საკუთარი პარტიის გადმოსახედიდან ელაპარაკება საზოგადოებას. ერთი კვირით ადრე თავიანთ „ბომჟ“ მომხრეებს ურიგებდნენ ხუთ-ხუთ თუმანს, ჩამოიყვანეს, აბოდიალეს, ანტურაჟად გამოიყენეს და გაუშვეს. ჩემი შენ გითხარიო, ასე ჰქვია ამათ არსებობას, ამათ სიმფონიას, რომელიც უნიჭობით გამოირჩევა. ოდესმე გეგმა-პოეზია გინახავთ? ალბათ არა. მაშინ მე განახებთ, წაგაკითხებთ. აგერ, ვინმე სოლომონ ჯალაღონია წერს, აწი ასე და ამგვარად უნდა მოვიქცეთო (სტილი დაცულია, ოღონდ ალაგ-ალაგ მძიმეები ჩავამატე):

„გამოვდივართ გარეთ,
ორასი ათასი კაცი დგება რუსთაველზე,
ციხეს კრუგზე ვდგებით 150 ათასი კაცი,
მაგისტრაალებს კეტამს ორასი ათასი კაცი,
5 ათასი აეროპორტებთან მაგრდება,
ვსიო და ესაა რეზოლუცია,
არცერთი დღე ჩვენი პრეზიდენტი
აღარ უნდა დავტიოთ საკანში“!!!

აჰა, ეს მათებურად არის პოეზიური რეზოლუცია პატრიოტულ საწყისებზე. მეტიც, ეს მათებურად არის აღმაფრენა, აღტყინება, ლტოლვა თავისუფლებისკენ... „ვსიო“ და ესაა რეზოლუცია! ხედავთ, რა ენერგიაა ჩატვირთული ამ სამიოდ სიტყვაში? ჩვენი პრეზიდენტი აღარ უნდა დავტიოთ საკანშიო... აი, აქ ჩანს თავგანწირვა, მამულიშვილობა და ათასი ოხრობა, რომელი ერთი ჩამოვთვალო?

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მიშა საქართველოში ტრაილერით მერაბიშვილმა შემოგზავნა, ჟორიკა რურუამ კი „გადააგდო“ და „ძვირფას სტუმარს“ არ დახვდა

„მე პირველი მაიდნის დროსაც კიევში ვიყავი, როცა ვიქტორ იუშენკო აქტიურობდა. მასთანაც ვმუშაობდი, როცა იგი მიშას ინაუგურაციაზე მოვიდა. მაშინ იუშენკო ჯერ კიდევ არ იყო პრეზიდენტი. მასზე ვიყავი მიმაგრებული. სხვათა შორის, ხშირად დრო კარგად გაგვიტარებია და თბილად გვისაუბრია“. ეს სიტყვები, სააკაშვილის ბიძას თემურ ალასანიას ეკუთვნის. მიამიტობა იქნებოდა გვეკითხა, თუ

კონკრეტულად ვინ მიამაგრა თემურ ალასანია ვიქტორ იუშენკოს, მაგრამ ისინი ერთმანეთს მხოლოდ უკრაინაში არ ხვდებოდნენ... იგორ გიორგაძის განცხადებით, „საერთოდ, მიხეილ სააკაშვილის ოჯახი სპეცსამსახურებთან ტრადიციულად თანამშრომლობდა. დედამისი გიული ჩვენს აგენტად მუშაობდა. ბიძამისი თემურ ალასანიაც, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, ასევე საბჭოთა კავშირის „კა-გე-ბე“-ს (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის) აგენტი იყო“. ასეთ „ტრადიციულ“ ოჯახს რძალიც აგენტი შეხვდათ და ჩვენი ქვეყნის ნგრევის და რყევის სანაცვლოდ სოლიდური კაპიტალიც მიიღეს. თუმცა, დასანგრევი ჯერ კიდევ ბევრია და ყველა უკანონო, ამორალური ხერხებით ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას. სამი წლის წინ გამოქვეყნებულ ბიძა დისშვილის ფარულ ჩანაწერში, თემურ ალასანია ქართველებს „ავანმტყოფ ერს“ უწოდებს და მუქარის შემცველ სიტყვებს ამბობს. მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ ორი ელემენტის გაძლიერება გვჭირდება: რევოლუციური ახალგაზრდობის და მეორე, თბილისის „middle class“-ის. იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში რევოლუციას ეგენი ახდენენ. მანდ გვაქვს სერიოზული ჩავარდნა იმიტომ, რომ ამათ წარმოიდგინეს, რომ თბილისი ეს არის ბაზრობებზე სიარული და გლდანის მეტროში და ეგ, ეგრე არ არის. ისიც არის, მაგრამ გადამწყვეტი რევოლუციური მუხტი არის აი ეს “Self made“ ბიზნესები თბილისის ცენტრში.

თემურ ალასანია: ჩვენი მომხრეები ეგენი არ არიან, თავიდანვე გითხარი. აი, ძალიან კარგად ვიცი, რომ ეს არ გამოვა. მიხეილ სააკაშვილი: და თან, ამ სირებს რომ ჰგონიათ, რომ ამათთან რაღაც დიდს მიაღწევ.

თემურ ალასანია: არა. ეს არის „ავანტყოფი“ ერი რა. ეს არის... ამათ სანამ არ დაა...ვამ თავზე და სანამ დედას არ მოუ...ავ, ვერ იგებენ ვერაფერს რა.

მიხეილ სააკაშვილი: ეგრე იყო ეგ ხალხი მთელი ცხოვრება და ახლა რატომ იქნება...

თემურ ალასანია: მაგათი დედა მოვ...ან მე ქართველების „პროსტა“. ქართველების დედა მოვ...ან „პროსტა“. ვინ არიან ესენი ტო? ეს „ავანტყოფი“ ერი ვინ არის ტო? დავიღალე იცი „პროსტა“ აი ცდისგან. ვზივარ, ვზივარ, ვზივარ. რაღაც ზარებს ველოდები რაღაცას. მივდივარ-მოვდივარ... სულ რაღაცა ხვალ-ზეგ, აი, ახლა მოხდება, აი, ახლა მოხდება...“

ჩანაწერში ალასანია და სააკაშვილი დიდ იმედებს ამყარებდნენ გვარამია კვესიტაძეზე. რომლებიც თავის მცირერიცხოვან მრევლს ისედაც გამორეცხილ ტვინს ბოლომდე გამოურეცხავდნენ და მის ნაცვლად „ტანჯული მიშას“ ფოტოს ღრმად ჩაუბეჭდავდნენ. ცდისგან დაღლილი, ძალაუფლების და საკუთარი კრიმინალური გარემოცვის მძევალი სააკაშვილი დაარწმუნეს, რომ საქართველოში უნდა ჩამოსულიყო და ორ ოქტომბერს მიტინგზე სლოგანით „გაგვიყალბეეეეს“ უნდა გამოჩენილიყო.

„ზღვა“ ხალხი „მთავარის“ აკომპანიმენტით შეაშინებდა ხელისუფლებას და ბრძოლის გარეშე, ტრიუმფით დაიბრუნებდა ესოდენ ნანატრ ძალაუფლებას.

სანდო წყაროს ცნობით ვანო მერაბიშვილს მოუკვარახჭინებია უკრაინიდან საქართველოში ტრაილერით მგზავრობის ტექნიკური საკითხები. საქართველოში მისი უსაფრთხოდ გადაადგილების და შემდეგ მიტინგზე გამოჩენის უზრუნველყოფა, წყაროს ცნობით, ჟორიკა რურუას დაევალა.

გზაში, სააკაშვილმა დაზღვევის მიზნით ჩაწერა ვიდეო, რომ თითქოს იგი გაიტაცეს. როგორც ჩანს იგი ბოლომდე არ ენდობოდა „თანამებრძოლებს“. საქართველოში ჩაწერილი ვიდეო მასალაც ჯერ ახლო „მეგობრებს“ გაუგზავნა და შემდეგ, გათამამებულმა, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, დაიწყო გამოქვეყნება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სპეცსამსახურები მიხეილს საქართველოს ჰაერის ჩასუნთქვიდან დაკავებამდე „ატარებდნენ“

რატომ მაშინვე არ დააკავეს? სავარაუდოდ მოგვიანებით გახდება ცნობილი...

წყაროს ცნობით, ჟორიკამ მიხეილი „გადააგდო“ და დიდი შანსია სწორედ მან „გაამჟღავნა“ რევოლუციური გეგმის დეტალებიც. ამბობენ, ოდესღაც მისი „მამობილი“ ჯაბა იოსელიანის ერთ-ერთი დაკავების „სულის ჩამდგმელიც“ ყოფილა. ავტომანქანაში მძღოლი, ჟორიკა და ჯაბა ისხდნენ. ჟორიკას პოლიციელები „მოუტყუებია“ჟურნალისტი ვარო და უმალ გაუშვიათ, მეტიც, მეორე დღეს მას საშუალება მისცეს საქართველო დაეტოვებინა. არადა, იმ წლებში ჟურნალისტს კი არა დიპლომატსაც მიაბრძანებდნენ სადაც ჯერ არს...

2008 წელს ექსპერტი ნიკო ორველაშვილი. (რომელიც საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა) წერდა, „დღეს ბევრი ფიქრობს, რომ სააკაშვილისთვის პრეზიდენტობაზე უარის თქმა ცხონება იქნებოდა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, იგი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის – „იგი საკუთარი გარემოცვის ტყვეობაში აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, რურუები მისცემენ სააკაშვილს უფლებას, რომ პოსტი დატოვოს? ჯერ იკითხეთ, რა შეუძლია ჟორიკა რურუას, რამდენი ხალხი ჰყავს გამწარებული და დასკვნა შემდეგ გააკეთეთ“.

სააკაშვილი მძევალი იყო თუ ინიციატორი, ეს ვითარებას არანაირად არ ცვლის. 2008 წელს სოციალური ქსელის მომხმარებელი წერდა „ამერიკის კაცი კიარა ადგილობრივი ბანდიტების დანიშნული ყოფილა, ასე გამოდის. ძმები რურუები ცნობილი მხედრიონელი გალავარეზები რაც მაგათმა ხალხი დახოცეს ეხლაც სააკაშვილის გვერდით არიან და ზედმეტად ხმის ამომღებს ეხლაც ისევე დაახლიან ტყვიას“. ბედის ირონიაა გიული ალასანიას განცხადება, „გაისმის ყოველ წუთში, რომ არ მოსწონდა

ბევრს... რა არ მოსწონდათ ძალიან მაინტერესებს? ის, რომ საქართველო გაიცნო მთელმა მსოფლიომ? რომ გაიზრდა ეკონომიკა? ნულოვანი ტოლერანტობა რას გამოუცხადა? გამოუცხადა დანაშაულს. აბა, როგორ უნდა გადატეხილიყო აი, ის კრიმინალი, რომელიც გავრცელებული იყო საქართველოში ჩემი შვილის მოსვლამდე? საიდან ამოათრია ქვეყანა ადამიანმა... ეს ყველაფერი დაგვავიწყდა? თუ როგორი საქართველო უნდოდათ იმათ, ვისაც არ მოეწონა ეს ნულოვანი ტოლერანტობა? რომ ისევ იქ ვყოფილიყავით და ისევ მხედრიონელებს ეთარეშათ?“

საქართველოს მსოფლიო ისედაც იცნობდა, მაგრამ პრეზიდენტი რომელიც ჰალსტუხს მიირთმევდა და ბრძოლის ველიდან კურდღელივით გარბოდა, ციხეებში ხალხს აწამებდა და შს მინისტრს გვამების მოთხოვნა-მიღებას, ქუჩაში უდანაშაულო ახალგაზრდების დახოცვას, ბიზნესის „ახევას“. სწორედ სააკაშვილმა მოახდინა „მხედრიონი“ რეანიმაცია და ხალხის არნახულ ტერორზე, „უფლებების“გაზრდა. კრიმინალ ნიკოლოზ რურუას, ჯერ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრობის, მოგვიანებით კი კულტურის მინისტრის პოსტი უბოძა. ჟორიკას ზონდერბრიგადებს კი აქტიურად იყენებდა შავი, მუხანათური საქმეების მოგვარების და „მოწინააღმდეგეების“ დასაჩმორებლად. რაც შეეხება „ნარკომანიაში ჩახრჩობას“, ნიკოლოზ რურუა რითი გარდაიცვალა?

ჟორიკას, კეზერაშვილს, ცისკარიშვილს და სხვებს ნარკოტიკი „ვენას წვავდა“? თუ, მის უჯიშო შვილს „წყენს“კოკაინი? ნაცლიდერები სექტასთან ერთად, ასეთი უტიფრები, როგორ არიან? გიული ალასანიას ალბათ არ ახსოვს მისი შვილი რა ქონებით გახდა პრეზიდენტი და რამდენ მილიარდს ითვლიდა პოსტის დატოვების შემდგომ. ამბობენ, გიული ნაწყენია ნიკოლოზ გვარამიაზეც (ეტყობა კარგად პარსავს) და ამბობს, რომ „მას ციხე არ აცდება“. გვარამიასაც ახსოვს „ძველი წყენები“და მისი ქმედებაც არანაირად არ გავს მიშას გულშემატკივარს. მისი მსახიობური „ნიჭიც“აღარ აკმაყოფილებს შემოძარცვულ მრევლს და განერვიულებული, გეგმაჩაფუშული მათი ბელადიც ხვდება, რომ ამ ცხოვრებაში ის ვერც პრეზიდენტი გახდება და ვერც პრემიერი. მომავალ ცხოვრებაში კი ძველი ვალების გადახდა მოუწევს..

გიულის შვილის „აღმშენებლობის“ საპირწონედ გავიხსენებ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ პრეზიდენტყოფილის შეფასებას: „ხელისუფლებაში მოკალათებულნი არიან ადამიანები, რომლებმაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მოლიონები დააგროვეს, მაშინ როდესაც ისინი ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ. ცნობისათვის ერთ ფაქტს გეტყვით, **სამი წლის წინ, როდესაც გახლდით შინაგან საქმეთა მინისტრი, გამოძალვის და ორასი ათასი დოლარის ქრთამის აღების ფაქტზე მე დავაკავე პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანია და პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნით ის გავათავისუფლე.**“ კიდევ ბევრი უბედურების შეხსენება მოუწევს გიულის და მიშას მართლაც ცალ-ცალი კალოშით მოსულ და გამდიდრებულ „თანამებრძოლებს“...

ოთხმოცდაათიან წლებში, პალერმოს ყოფილმა პროკურორმა ორლანდომ, რომელმაც თავის დროზე სიცილიური მაფია მოთოკა, გვირჩია: საკმარისი არ არის მაფიოზი გყავდეს ციხეში, აუცილებელია მას ფული არ დაუტოვო, რომ შავი საქმეები აღარ აკეთოს ციხიდან“.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

ნუჟრიანი მედუნდულე

ხისთავიანი ბევრი მინახავს, მაგრამ გიგი უგულავა როა, ნამეტნავად ნუჟრიანი, ეგეთი არავინ. დადის, დაიბეყება, მიტინგიდან მიტინგამდე განიერდება, ღმუის, ყმუის, ღნავის და იმუქრება, ამას გიზამთ, იმას გიზამთო. სინამდვილეში არაფრის თავი არ აქვს, ხელს აუქნევენ თუ არა, ეგრევე საჩივლელად გარბის (ეს „ნაცების“ ხელწერაა). წინა კვირის რომელიღაც დღეს აქცია რომ ჩაატარეს, იმნაირად მიჰქარა, ეგრევე წიხლქვეშ შეიქმნა წასაგდები... ისაო, ახლა კი დროა, ვინმე გოგა ორდენიძეს, რომელმაც მესამე პრეზიდენტს უთხრა, ჩიტო, მოხვედიო? სახლში მივაკითხოთ, პასუხი მოვთხოვოთ, მის შვილებს ავუხსნათ, გავუმხილოთ, რომ ჯალათი მამა ჰყავთო. მეორე დღესვე მიაკითხეს მკვლელ ჭუტალას (ბავშვი რომ მოკლა ავტობუსების გაჩერებაზე) ე.წ. ტელევიზიიდან სახლში, შეკითხვები

გოგა ორდენიძე

დაუსვეს ერთ-ერთ შვილს: მამა სად არიო? რას აკეთებსო? როდის იყო დაპატიმრებულიო? რაზეო? იმან, შვილმა ჭკუა იხმარა, ე.წ. ჟურნალისტთან საუბარი არ გააბა.

უგულავას ამაზრზენმა საქციელმა მისი მომხრეებიც კი გააღიზიანა. არა, გატყუებთ, კი არ გააღიზიანა, მოჩვენებითი ჰუმანურობა გაითამაშეს, ვითომ მათთვის ბავშვთა უფლებების დარღვევაა მიუღებელი, ვითომ ოჯახის წევრთა დაბულინგებაც მათ პროდასავლურ ღირებულებებს ეწინააღმდეგება. სასაცილოა პირდაპირ, „ნაციონალები“ და ჰუმანურობა? რა დასავლური ღირებულებები, რომელი დემოკრატია და ადამიანური გრძნობები?

ნამეტნავად ნუჟრიანმა უგულავამ ბოდიში მოიხადა. განა უნდოდა? ვიღაცებმა უთხრეს, ეხლა ეგრეა საჭირო, ძალაუფლებას რომ დავიბრუნებთ, მერე ჩვენ ვიცითო. ვირეშმაკა უგულავამ კი დაწერა ვირეშმაკული საბოდიშო წერილი, მაგრამ ყოველი სიტყვის უკან აშკარად ჩანს მაიმუნური დამოკიდებულება:

„ჩემმა მიტინგზე ნათქვამმა სიტყვებმა გულისწყრომა გამოიწვია — მათ შორის, ჩემთვის საპატივცემულო ხალხის. კრიტიკას ვიღებ და ბოდიშს ვიხდი. დეტალებში არ შევალ. სჯობს, ეს საკითხი არ განვიხილოთ და მოჭრილად ვთქვათ — რომ ბავშვებს გავეშვათ. პირიქით, ყველა ბავშვი უნდა დავიცვათ ღვარძლისა და სიძულვილისგან, რომელიც დღეს ქვეყანაში ტრიალებს და თანამედროვე ინფორმაციული სამყაროს თავისებურებების გამო, მათი ცხოვრების ნაწილი ხდება“.

დეტალებში არ შევალო, ბოდიშს იმიტომ ვიხდი, ჩემმა ნათქვამმა სიტყვებმა გულისწყრომა გამოიწვიაო, მართლაცო, ბავშვებს უნდა გავეშვათო. გაიგონეთ? ბავშვებს უნდა გავეშვათო, გვეუბნება ძველბიჭურად თბილისის ყოფილი მერი. პირიქით, ყველა ბავშვი უნდა დავიცვათო და... შემდეგ დღეს ვინმე მირიან დეისაძე მიუხტა ორდენიძეს სახლთან. ამ ჭკუით უბედურმა ჯერ სადარბაზოში დაუწერა არაერთი სიბინძურე, შესასვლელშიც, წერილიც დაუტოვებია (სტილი დაცულია): „მიხვედი ჩიტო სახლში. აბა რა გეგონა ესე იოლქთ (ალბათ „იოლად“ უნდა იყოს, ამათ საერთოდ წერა-კითხვა უჭირთ) ვერ გამოძვრები ჯერ სად ხარ წინ უფრო დიდი სიურპრიზები გელოდებათ“.

სავარაუდოდ, მიაკითხავენ ამ ჭკუანაკლულს სამართალდამცავები, მაგრამ მერე? რა ხდება მერე, 200 ლარით დააჯარიმებენ თუ 500 ლარით? იქნებ 2 ათასით? მერე? გადაიხდიან „ნაცები“ რა პრობლემაა? ეგენი ბიუჯეტიდანაც ფინანსდებიან, კეზერაშვილისგანაც, თემურ ალასანიასგანაც, ხაზარაძისგანაც და სხვა ავაზაკებისგანაც, ფული აქვთ ოხრად. კი, ბატონო, გადაიხდიან ჯარიმას და ისევ გააგრძელებენ ადამიანთა ცხოვრების დანგრევას, შვილების დაშინებას, ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურად განადგურებას. აბა, რა გეგონა, ჩემს სარდალს ჩიტი რომ უწოდეო? იუკადრისეს, ეს ხომ არაადამიანური წამებააო? სულხან მოლაშვილის თავს რაც დაატრიალეს, ის არ იყო წამება, ის ბალეტი გახლდათ!

ვაზაგაშვილისა და მისი მეგობრების ჩაცხრილვაც ბალეტი იყო!

გირგვლიანის დაჩეხვა და ხევში გადაგდებაც ბალეტი იყო!

ბუტა რობაქიძის თრევა და შემდეგ ქათამივით დაკვლაც ბალეტი იყო!

ყველა ჩამოვთვალო?!

გურამ შარაძის გაგორებაც ბალეტი იყო!

ჩიტო, მოხვედიო? უთქვამს გოგა ორდენიძეს, რომელიც სააკაშვილს ჰყავდა თავის ციხეში გამოკეტილი. ასლან აბაშიძის ყოფილმა პრესმდივანმა, თამაზ ბაკურიძემ მითხრა, ორდენიძე ჩემთან ერთად იჯდა, წესიერი ადამიანიაო. როგორც ჩანს, თავი ვერ შეიკავა, გაახსენდა ის ავი დღეები. ჩიტო კი არა, ზოგიერთი თავს გაუჭეჭყავდა!

იყო დრო, ნუჟრიანი უგულავა სააკაშვილს ჯართს უწოდებდა. გემახსოვრებათ, ეგ უკვე ჩამოწერილია, აღარაფერში ვარგაო. მაშინ წაკინკლავდნენ, ერთმანეთს დაეუმძრახნენ. მერე უგულავამ ჩააკითხა კიევში... უფრო სწორად, იმან, სააკაშვილმა დაიბარა სხვებთან ერთად. ჩავიდნენ. ეს გაბრექილი ცალკე გაიყვანა, ერთმანეთს გადაეხვივნენ, როცა მამული განსაცდელშია, ერთად უნდა ვიყოთო. როდესაც სააკაშვილმა აქედან გაქუსლა, ერთ ხანობას უგულავას ყურადღებას აღარ აქცევდა, კაცად არ თვლიდა, მაყუთს აღარ აძლევდა და ესეც დაიბოღმა, ჯართად მოიხსენია. მას შემდეგ ამ ნუჟრიანმა ბევრი იბოდიალა, ხან „ნაცებში“ ეგდო, ხან — „ევროპულსაქართველოელებში“, ბობოხიძესთან და ბოკერიასთან, მერე გამოვიდა, საერთოდ მივდივარ პოლიტიკიდანო, პარტიასაც ვტოვებო. მოგვატყუა, არსადაც არ წასულა, ვერ დათმო „დიდი პოლიტიკა“, ხან ზუგდიდში იყრის კენჭს, ხან ხონში, ხან ფოთ-


მირიან დეისაძე

ში, ხან ყიზილაჯლოში, არჩევნებს არ მაზავს, სულერთია, რომელი იქნება, ადგილობრივი თუ საპარლამენტო. ყველგან მარცხდება, ყველგან სირცხვილს ჭამს, მაგრამ თავს მაინც „კაცად“ გრძნობს. ამ დროს კაცი კი არა, ნეხვია. დიახ, მე არ ვერიდები მის შეფასებას. რაც მან იკადრა, მაქვს უფლება, ყველაფერი ვაკადრო, ამ ნუჟრიან მედუნდულეს!

უგულავა პოლიციელების შეურაცხყოფაზეა გადასული, მათ ძაღლებს უწოდებს — უნდა, სისტემაში დემორალიზაცია გამოიწვიოს. თუმცა ელემენტარული ჭეშმარიტებაა, ამორალური ადამიანი პოლიციელებში დემორალიზაციას ვერ გამოიწვევს, ის ხომ ცნობილი ყაჩაღია? ის ხომ (სულ მცირე) 50 მილიონის ქურდია? არა, გაცილებით მეტი აქვს მოპარული, ალბათ სამი, ოთხი, ხუთი, ათი ამდენი, მაგრამ ამ ეტაპზე ვერ ვუმტკიცებთ. ამას წინებზეც დავწერე და ვიმეორებ: 2012 წლის შემოდგომაზე 10 „კამაზით“ გაიტანეს გლდანის ნაგავსაყრელზე დოკუმენტები და დაწვეს. რაც ხისთავიანმა უგულავამ მერობის პერიოდში ფული იშოვა, შეიძლება მილიარდიც კი გამოუვიდეს.

ახლა კი რისთვის ბღავის, რატომ გასდის ბოლი უკანალიდან? იგრძნო, რაღაც ახალი სასჯელი უახლოვდება, თუ მესამედაც წაიჭირეს, ვეღარ გამოძვრება, კაი ხანს მოუწევს ციხეში ყურყუტი.

მოგეხსენებათ, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს პროცესი ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის, ჩამორთმევის, მთაწმინდის პარკის ჩამორთმევის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევისა და 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის ფაქტებზე. გიგი უგულავას (ივანე მერაბიშვილთან, დავით კეზერაშვილთან, ზურაბ ადეიშვილთან და მიხეილ სააკაშვილთან ერთად) ბრალად ედება სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება, თანხების გაფლანგვა, მთაწმინდის პარკის ქონების გაფლანგვა, დახმარება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა და ჩამორთმევა.

ხედავთ? აქ იმდენი დანაშაულია, შეიძლება უგულავას 8–9 წელიწადი გამოუვიდეს!

აი, ამიტომ იხევა ნაკერავზე, თორემ შინაურულად თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილი ამისთვის ისევ ჯართია. თვითონაც ჯართია. საერთოდ, მთელი „ნაცმოძრაობა“ ჯართია, სნეულთა სექტა. ძალიანაც რომ გინდოდეს, ვეღარ უმკურნალებ, სამედიცინო ჩარევას აღარ ექვემდებარებიან.

უგულავასი და მისნაირების „ხსნა“ რევოლუციაშია. თუმცა, ამის შნოც არ აქვთ. სანამ თენგიზ სიგუა გარდაიცვლებოდა, მასთან მივედი და ვკითხე: ბატონო თენგიზ, თქვენ სახელმწიფო გადატრიალების საქმეში პროფესიონალი ბრძანდებით, ამ მხრივ დიდი გამოცდილება გაქვთ, კაცს ხელისუფლების დამხობა რომ მოუნდეს, ამისთვის საჭირო რა არის-მეთქი? არ უთქვამს, არ ვარ პროფესიონალი გადამტრიალებელიო, პირდაპირ მიპასუხა, ამისთვის საჭიროა ფული, იარაღი, პოლიციის გადაბირება, ჯარის დემორალიზაცია, ხალხის მასა, ინტელექტუალური მხარდაჭერა და შავი ხვრელებიო. ყველაფერი გასაგებია შავი ხვრელების გარდა... ეს გახლავთ საიდუმლო საქმეები, რომლის შესახებაც სამიოდე კაცმა თუ იცის. მაგალითად, შავი ხვრელი იყო, როცა ბორის ელცინს ფარულად წერილი გაუგზავნეს და ჩვენებურ გადამტრიალებლებს რუსები იარაღით დაეხმარნენ. მაშინ ამბობდნენ, რომ ზვიად გამსახურდიას „რეჟიმი“ პატრიოტულმა აღტყინებამ დაამარცხა. არა, ბატონებო, „რეჟიმი“ რუსულმა იარაღმა და ღალატმა დაამარცხა. ამათ არც ერთი არ აქვთ „ღალატის“ გარდა. არ გააჩნიათ არც შნო, არც მხარდაჭერა, არც მასა და შავი ხვრელებიც კი... არა, კი აქვთ რაღაც შავი ხვრელები, მაგრამ იმდენი არა, რევოლუციური მუხტი ასწიონ.

მოკლედ, ახლავე გეტყვით, როგორ განვითარდება მოვლენები უახლოეს ხანში – ციხეში წამსვლელები წავლენ ციხეში, სახლში წამსვლელები წავლენ სახლებში და ყველაფერი იქნება ისე, ჩვენ რომ გვინდა. აეგრე!

ბელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ეკოლოგიური პრობლემები და პოლიტიკური კლიმატი მსოფლიოში

გლაზგოში კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებულმა კონფერენციამ მუშაობა დარგის სპეციალისტების მონაწილეობით გააგრძელა. ექსპერტებთან ერთად ეკოაქტივისტებიც აღიარებენ — განვლილი ღონისძიება უნაყოფო იყო. ორი დიდი ქვეყანა — ინდოეთი და ჩინეთი არ აპირებენ ქვანახშირის გამოყენებაზე უარის თქმას. ანალიტიკოსების შეფასებით, პანდემიის გამო ჩინეთში ეკონომიკის ზრდის ტემპი საგრძნობლად შემცირდა. ახლა თუ ქვანახშირის დეფიციტი დაემატება, ადვილი შესაძლებელია, წარმოების ნაწილი საერთოდ გაჩერდეს, რაც მსოფლიოს ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება და სხვადასხვა პროდუქციაზე ფასების ზრდას გამოიწვევს. ეკოლოგების ნაწილი ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს. მსოფლიოს კლიმატური საკითხების ხელმძღვანელი ალოკ შარმა კონფერენციის დასრულების შემდეგ იმედგაცრუებული იყო. მისი თქმით, ღონისძიების შემაჯამებელ დოკუმენტში კორექტივების შეტანა მოუხდათ ჩინეთისა და ინდოეთის დაჟინებული მოთხოვნით. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეცწარმომადგენლის კლიმატის საკითხებში ჯონ კერის განცხადებით: „...ჯერ კიდევ დიდი გზის გავლა მოგვიწევს, ვიდრე ყველა ქვეყანას დავითანხმებთ, უარი თქვან ქვანახშირისა თუ სხვა წიაღისეულის მოპოვებაზე “. მოკლედ, კონფერენცია დამთავრდა, მაგრამ ყველა მონაწილე უკმაყოფილო დარჩა.

აქტუალური გახდა ატომური ენერგიის გამოყენების საკითხი. საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ახლო წარსულში ატომურ ელექტროსადგურებზე უარის თქმას აპირებდა, ყველა მოქმედი რეაქტორის გაჩერებასაც აპირებდა. ახლა პოზიცია შეიცვალა და ახალი ატომური სადგურების მშენებლობის მომხრეა. მაკრონი ცდილობს მოიპოვოს ენერგოდამოუკიდებლობა. განსხვავებულ პოზიციაზეა გერმანიის ხელისუფლება — გაისად, წლის ბოლომდე აპირებენ დარჩენილი 6 ატომური ელექტროსადგურის გაჩერებას. თუმცა გერმანია უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საფრანგეთი. გაზსადენი „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის მშენებლობა დასრულებულია. გაზსადენის სრული ამოქმედების შემდეგ გერმანია ბუნებრივ გაზს პირდაპირ მომპოვებლისგან მიიღებს შეღავათიან ფასად და ქვეყანა თავად გახდება ტრანზიტორი, რაც დიდ შემოსავალს მოუტანს. ამის გარდა, გერმანიის მრეწველობა კიდევ უფრო განვითარდება.

დიდხანს არ გასტანა ცივმა ურთიერთობამ აშშ-სა და საფრანგეთს შორის. უთანხმოება ორ ქვეყანას შორის აშშ-ის მიერ ფრანგებისთვის ფაქტობრივად წართმეულმა 60-მილიარდიანი დოლარის კონტრაქტმა ჩამოაგდო. ემანუელ მაკრონი გაეროს სესიაზე არ წავიდა ნიუ-იორკში და ამით გამოხატა პროტესტი, მაგრამ წყენამ მალე გაუარა. რომში „დიდი ოცეულის“ ქვეყნების მეთაურთა სამიტზე შეხვდა და თბილი საუბარიც ჰქონდა აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან. გასულ კვირას აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი საფრანგეთში ჩავიდა მაკრონთან შესახვედრად. საინტერესოა, რომ ავღანეთიდან კოალიციური ჯარების გასვლის შემდეგ ჰარისი საჯარო სივრცეში იშვიათად გამოდის. ჰარისმა და მაკრონმა პარიზში განაცხადეს, რომ აშშ და საფრანგეთი თანამშრომლობის ახალ ერას იწყებენ.

დამაფიქრებელია აშშ-ის საშინაო პოლიტიკა, რაზეც იქაური ანალიტიკოსები უკვე ღიად საუბრობენ. ამერიკელი პოლიტოლოგი არიელ კოენი აღნიშნავს: ბაიდენი მის მიერვე გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო უხერხულ მდგომარეობაში მოექცა. ერთის მხრივ ცალკეულ ქვეყნებს აშშ-ის მტრებად აცხადებს, მაგრამ მათგანვე ნავთობის მიწოდებას ითხოვს. ჯო ბაიდენი ასევე მზად არის, დახარჯოს ერთი მილიარდი დოლარი, რათა შეაჩეროს მიგრანტების მიღება. მან დაინახა, რომ მიგრანტების დიდმა რაოდენობამ შეარყია კანცლერ ანგელა მერკელისა და მისი პარტიის პოზიციები, რაც კარგად გამოჩნდა განვლილ არჩევნებში. დემოკრატი კანონმდებლები ჯო ბაიდენს სთხოვენ, გასხნას ნავთობის სტრატეგიული მარაგი, რათა ქვეყანაში შეჩერდეს ბენზინზე ფასების ზრდა, რამაც რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს დაანონსებული პოლიციის რეფორმა. იდეა შარშან ვინმე ფლოიდის სიკვდილის შემდეგ წამოჭრეს ე.წ. მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“-ს აქტივისტებმა. მათი მოთხოვნით, ცალკეულ შტატებში პოლიციას მკვეთრად შეუმცირეს დაფინანსება, რის გამოც გაიზარდა დანაშაულის რაოდენობა. ახლა გამოდიან ინიციატივით, საერთოდ გაუქმდეს პოლიცია და შეიქმნას საზოგადოების უსაფრთხოების დეპარტამენტი. მოსალოდნელ რეფორმასთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრი გაიყო და რომელი მხარე გაიმარჯვებს, უცნობია.

საგანგაშო ვითარება შეიქმნა პოლონეთ-ბელორუსის საზღვარზე. ახლო აღმოსავლეთიდან ტურისტული ვიზებით ჩასულებს აღარ სურთ სამშობლოში დაბრუნება და ცდილობენ, ევროკავშირის ქვეყნებში, კონკრეტულად, გერმანიაში წასვლას. პოლონელი მესაზღვრეები მათ არ უშვებენ, რის გამოც საზღვარზე უამრავმა მიგრანტმა მოიყარა თავი. მათ შორის არიან ბავშვები, ფეხმძიმე ქალები... მოკლედ რომ ვთქვათ, საზღვართან გაუსაძლის ვითარებაში აღმოჩნდნენ მიგრანტები. პოლონელი მესაზღვრეები გადაჭარბებული სიმკაცრით, მიგრანტების თქმით, სასტიკად ეპყრობიან.

შექმნილ ვითარებაში ევროკავშირი ბელორუსს ადანაშაულებს. პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო კრიტიკას უკან უბრუნებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. მათ მიერ წარმოებულმა ომებმა ახლო აღმოსავლეთში წარმოშვა მიგრანტების ტალღაო, აცხადებს. მისივე თქმით, ბელორუსს ბევრ ქვეყანასთან უვიზო მიმოსვლა აქვს. ამის გარდა, ტურისტულ ვიზებზე მსურველებს უარს არ ეტყვიან. აქვე სათქმელია, რომ ევროკავშირმა ბელორუსის ავიაკომპანიებ თავის ტერიტორიაზე ფრენები აუკრძალა. ამიტომაც, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად რეისებს ახორციელებენ იქ, სადაც ხელი მიუწვდებათ. თუმცა გასულ კვირას ცალკეული ქვეყნების მოქალაქეების გადაყვანაზე ბელორუსის ავიაკომპანიებმა იძულებით უარი თქვეს.

პოლონეთის ხელისუფლებამ გაზარდა ძალოვნების რაოდენობა ბელორუსის საზღვარზე. პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ გასულ კვირას ამაყად განაცხადა, ქვეყნის საზღვრების დასაცავად მესაზღვრეებთან ერთად 26 ათასი სამხედრო და პოლიციელი მონაწილეობსო. მობილიზებულია მძიმე სამხედრო ტექნიკა, ჯარი შეიარაღებულია მხვილკალიბრიანი იარაღით. ისმის სროლების ხმა. მართალია, პოლონელები ჰაერში ისვრიან, მაგრამ, ადვილი შესაძლებელია, გაუფრთხილებლობამ ბელორუსებთან შეიარაღებული შეტაკება გამოიწვიოს, რაც კარგს არაფერს მოუტანს ევროპას.

ანგელა მერკელმა გასულ კვირას ორჯერ დაურეკა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს. ოფიციალური ინფორმაციით, განიხილეს პოლონეთ-ბელორუსის საზღვარზე შექმნილი ვითარება, მიგრანტთა პრობლემები. სავარაუდოდ, მერკელმა პუტინს სთხოვა, ლუკაშენკოზე მოახდინოს ზეგავლენა. ზუსტად კი ცნობილია, რომ პუტინმა თავის მხრივ, ევროკავშირს და ყველა დაინტერესებულ ქვეყანას მოუწოდა, აწარმოონ პირდაპირი დიალოგი ბელორუსის ხელისუფლებასთან. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც — პოლონეთის მხარეს ჯარების მობილიზაციის შემდეგ რუსეთ-ბელორუსის სამხედრო სტრატეგიულმა თვითმფრინავებმა განახორციელეს ფრენები საზღვრის სიახლოვეს. ექსპერტების განცხადებით, ქმედება პოლონელებისთვის გაფრთხილება იყო.

ევროკავშირი დიალოგის ნაცვლად, ბელორუსს მკაცრი სანქციებით ემუქრება. მუქარას ლუკაშენკომ მუქარით უპასუხა — ევროპის ქვეყნებს ჩვენ ბუნებრივი გაზის ტრანზიტს შევუწყვიტავთო. ევროჩინოვნიკმა შარლ მიშელმა შექმნილი სიტუაცია ევროკავშირის საზღვარზე ჰიბრიდულ შეტევად შეაფასა. ამასთან, განაცხადა, რომ გასაჭირში წევრ-ქვეყნებს არ მიატოვებენ. დიუმას ნაწარმოებიდან ციტატაც მოიყვანა: „ერთი ყველასათვის და ყველას ერთისათვის!“

ვითარებამ ორი დღის წინ დაიწყო შეცვლა. ევროჩინოვნიკი ჟოზეფ ბარელი ტელეფონით დაიწყო შეცვლა. ევროჩინოვნიკი ჟოზეფ ბარელი ტელეფონით ესაუბრა ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრს ვლადიმირ მაკეის. რა შედეგს გამოიღებს მათი საუბარი, მალე გამოჩნდება. ამასობაში ცნობილი გახდა — ერაყის ხელისუფლება გააგზავნის თვითმფრინავებს ბელორუსში საკუთარი მოქალაქეების გასაყვანად.

ლიბიის ყოფილი მმართველის მოამარ კადაფის შვილი საიფ ალ ისლამი აპირებს, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის 2021 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. იგი 49 წლისაა, განათლება მიღებული აქვს ევროპაში. კადაფის ლიკვიდაციის შემდეგ, 2011 წელს, ის დააპატიმრეს და 2017 წლის ივლისამდე იმყოფებოდა ციხეში. დაველოდოთ არჩევნების შედეგებს, რომელიც დეკემბერში გაიმართება.

მსოფლიოში კი, პანდემიის თანხლებით, პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსი გრძელდება.

გია ბურდული
551 71 27 07

„გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“

ამ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა „ივერიონმა“ დასტამბა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ნოდარ ჭითანავას ნაშრომი „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“.

წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის 30-წლიანი გამოცდილება, მიზეზ-ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზიგზაგისებური ხასიათი, კონტრასტული ნიშან-თვისებები, საზოგადოებაში ინტერესების დაპირისპიების პროცესები, კორონავირუსის ეპოდემიით გამოწვეული პრობლემები. შემოთავაზებულია სისტემური კრიზისიდან გამისვლის დაჩქარებისა და ეკონომიკის თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გადასვლისთვის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური რეკომენდაციები.

წიგნის სამეცნიერო რედაქტორია, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი იური პაპაქსუა.

წიგნში შესულია დიალოგის სახით შედგენილი წერილების სერია, რომელიც მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო. გთავაზობთ ფრაგმენტს წიგნიდან:

ერთი წლის შემდეგ...

იური პაპასქუა: ბატონო ნოდარ, ეს იყო შარშან, 25 მარტს — ასე დავიწყეთ ჩვენ საუბარი რთულ და მძიმე პრობლემებზე.

შემდგომში თქვენთან კიდევ სამი ინტერვიუ გამოქვეყნდა და თემატურად განვიხილეთ პანდემიის (პოსტპანდემიის) პირობებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები. თქვენ მაშინ ამ გლობალურ გამოწვევებსა და პრევენციის უმთავრეს ღონისძიებებზე პირველმა გააკეთეთ ალღოიანი შეფასებები და განჭვრიტეთ მოსალოდნელი შედეგებიც.

ახლა უკვე ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც კოვიდ-19 დააცხრა კაცობრიობას. ადამიანების სიცოცხლის ხელყოფასთან ერთად, კორონავირუსმა მსოფლიო გლობალურ კრიზისში გაახვია, მსოფლმხედველობრივი წარმოდგენებიც შეცვალა.

ფაქტობრივად, ახდა მსოფლიოსთვის ახალი განსაცდელის წარმოსახვის თქვენეულ „ათ თეზაში“ ჩამოყალიბებული მინიშნებები.

კორონავირუსის ეპიდემიურ გამოვლინებებთან თანაცხოვრების განვლილმა ერთმა წელმა უფრო გამოკვეთა, გაამწვავა და გააშიშვლა მმართველობით იერარქიაში მყარად ჩამჯდარი მეტასტაზები, თვალსმიფარებული, მიჩუმათებული ყველა რისკი, რაზეც თურმე „ნეტარებით ლივლივებდა“ საზელმწიფოთა თანამეგობრობა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და კაცობრიობა.

...ისევე, როგორც ერთი წლის წინ, გაჩნდა მოთხოვნილება და პირველი ისევ თქვენ გთხოვთ, შევაფასოთ ეს უჩვეულოდ „ჭირვეული“ დროის მონაკვეთი, — გავაგრძელოთ დაწყებული დიალოგი.

წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, დაგროვდა კითხვებიც და

საინტერესოა თქვენი შეფასებაც: სახელმწიფომ, სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემამ, საზოგადოებამ როგორ გაართვა თავი მოულოდნელ განსაცდელს, დღევანდელი თვალსაწიერიდან როგორ შეიძლება შევაფასოთ მრავალკომპონენტიანი „საგამოცდო პროცესი“ და რა შედეგებს უნდა ველოდოთ?

ნოდარ ჭითანავა: გეთანხმებით, ურთულესი გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდით. საზოგადოება, ქვეყნების ხელმძღვანელობა, ფაქტობრივად, მოუმზადებელი შეხვდა კორონავირუსის ეპიდემიის აფეთქებას. თავსდამტყდარი „შოკიდან“ მსოფლიომ ნელ-ნელა გამოიხედა. კრიზისიდან გამისვლის ღონისძიებებიც გონივრული, ვითარების ადექვატური გახდა, — ვაქცინა გაჩნდა, ინტენსიურად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ყველგან და ყველაფერი კონტროლს დაექვემდებარა ან ვითარება მკვეთრად გაუმჯობესდა. დღეს უფრო ნათლად გამოჩნდა მთელ მსოფლიოში, მით უფრო, საქართველოში, საგანგებო ვითარების მიმართ სახელმწიფოს და სახელმწიფო ინსტიტუტების მზადყოფნის სუსტი ადგილები. ვერ ხერხდება ინფიცირების კერების ჩაქრობა, ჩნდება ახალი ტალღები, იზრდება ინფიცირებულთა რიცხვი და სიკვდილიანობის მაჩვენებელიც, მატულობს დაპირისპირების ტემპერატურა საზოგადოების ფენებს შორის.

კარგად გამოჩნდა წარსულში მიჩქმალული პრობლემები, დაშვებული შეცდომები და ჩატოვებული კვანძები.

ისევ მკაცრი გამოცდის წინაშე ვართ...“

ვფიქრობთ, წიგნი „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“, საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისთვის უმნიშვნელოვანესი შენაძენია.

„დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“



პატრიოტული პოეზია



გამომცემლობა „მერანმა“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით გამოსცა პატრიოტული პოეზიის კრებული „**დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს**“.

წიგნის რედაქტორის **ზაალ ბოტკოველის** წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„ეს კრებული, დიახაც რომ, იმის დასტურია, თუ როგორ უფრთხილდებიან ქართველი პოეტები საკუთარ წარსულს, როგორ უფრთხილდებიან ცხრაასი წლის წინ მომხდარ საოცრებას — დიდგორის ომს და მისი უპირველესი შემოქმედის — დავით IV აღმაშენებლის სახელს, რომელიც დღემდე ჩვენთანაა და ჩვენთან ერთად ებრძვის ყველა უკეთურობას, ჩვენთან ერთად აახლოებს ნანატრ ჭეშმარიტ თავისუფლებას.

დიახაც, დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს!“.

დარწმუნებული ვართ, პატრიოტული პოეზიის ამ შესანიშნავ კრებულს ქართველი მკითხველი საზოგადოება დიდი ინტერესით გაეცნობა და მის მოწონებას დაიმსახურებს.

გთავაზობთ ერთ ლექსს ამ კრებულიდან.

იოსებ ნონეშვილი

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორით დიდი იმედიც არის...
დიდგორში მაშინ დანთებულ სანთლებს
არ ჩაქრობიათ ჯერ კიდევ ალი...
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორით დიდი იმედიც არის.

...და წასალეკად ჩვენს ველს და ზეგანს
მოაწყდა მტერი მუქარით, დავით...
მაგრამ თურქ-სელჯუკ დუშმანთა ზედან
აღიღო ხმალი მეფემან დავით.

და სცეს ნაღარას და ბარბითს რა წამს
წამოიგრაგნენ რაზმები ფიცხლად.
პირველ დავითმა ცხენ-კაცი გასჭრა
და წვერი ხმლისა უწვდინა მიწას.

გაიძგრიალა ცაში ჰოროლმა,
მოზიდეს შვილდიც,
ბოძალიც სტყორცნეს...
მეფის ნახმლევი თითო-ოროლა
ახლაც შრეებად ატყვიათ ბორცვებს.

დაზაფრეს მტერი,
თავზარი დასცეს,
დაცხრილეს ზეცა,
გატორეს ტევრი...
და თუმც სჭარბობდათ მომხდური ასჯერ,
დაცალეწეს და აოტეს მტერი...

რამეთუ დედასამშობლოს დაცვა,
რამეთუ დაცვა
მშობელი ერის,
რამეთუ დაცვა
რჯულის და ენის
ერთს აქცევს ასად...

დიდგორის ომმა მაშინ ჰყო ნათელ, —
როდია მთავარ
სიმრავლე ჯარის...
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორით დიდი იმედიც არის.

დიდგორით მტერი შემდეგშიც ვმუსრეთ,
რეკდა დიდგორი „ჰკა მაგრად“, „ვაშად“...
ცოტნე დადიანს ეხატა გულზე,
ხმალს უფხავებდა შამქორში ლაშქარს.

ხმა დიდგორისა
დედების ლოცვად,
ხმა დიდგორისა
მამების რისხვად
გვიხმობდა მებრძოლს,
გლეხკაცს თუ მგოსანს:
— სამშობლო ვიხსნათ!

დიდგორით მტერი შემდეგშიც ვძლიეთ,
გმირი აჩრდილი მრავალგზის ვიხმეთ...
იქნებ დიდგორიც
რუსთველის გმირებს
აღებინებდა ქაჯეთის ციხეს?!

რუხს და ბასიანს,
მარტყოფს, მარაბდას
გვედგა დავითის აჩრდილი დიდი.
ის გვამხნევებდა და გვიფარავდა
და დავითფერულს თამამად ვცდიდით.

...დრო გადის
...ჩვენს მთებს,
დიდგორის კალთებს
მთვარედ დაჰნათის დავითის ფარი...
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორით დიდი იმედიც არის!

გვერდი მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

8 ყველაზე სასტიკი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი კაცობრიობის ისტორიაში

წარმოიდგინეთ მამაკაცი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე უმტკიცებენ, რომ გოგონაა, ან ადამიანი, რომელსაც ელექტროშოკით აწამებენ და აიძულებენ, რომ ცოცხალ ვირთხას თავი მოაჭრას. სანამ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება არსებობს, უამრავი ექსპერიმენტი ხორციელდება. ზოგი სასაცილოდ და ერთგვარ თამაშად გვეჩვენება, ზოგი კი შიშის ზარს გვცემს. გთავაზობთ რვა ყველაზე ძალადობრივ და უაზრო ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს კაცობრიობის ისტორიაში.

1. ბიჭის გოგოდ „გადაკეთება“ (1965–2004 წ.)

წარუმატებელი ოპერაციის შედეგად 8 თვის ბრიუს რუმერმა სასქესო ორგანო დაკარგა. ჯონს

ჰოპკინსის უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა ფსიქოლოგმა ჯონ მონიმ ბრიუსის მშობლებს ურჩია, რომ მომხდარს შეგუებოდნენ და ბიჭი გოგოსავით გაეზარდათ. ასე იქცა ბრიუსი ბრენდად, ჯონ მონი ექსპერიმენტზე დამკვირვებლად. ყველაფერი ასე თუ ისე ნორმალურად მიდიოდა, სანამ მშობლებმა ბრენდასთვის სიმართლის გამხელა არ გადაწყვიტეს. ამის შემდეგ ბრიუს-ბრენდას ცხოვრება მთლიანად დაინგრა. ახალგაზრდამ თვითმკვლელობა სამჯერ სცადა. შემდეგ მამაკაცურ ცხოვრებასთან დაბრუნება დააპირა, სახელი შეიცვალა და დაქორწინდა კიდეც, თუმცა ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდა. 38 წლის ასაკში, სასტიკი ექსპერიმენტის მსხვერპლმა ცოლთან განქორწინების შემდეგ თავი მოიკლა.

2. ექსპერიმენტი, რომელმაც ადამიანებამდე ვერ მიაღწია 1960 წ.

საბედნიეროდ, დოქტორი ჰარი ჰარლოუს ექსპერიმენტი მაიმუნების ეტაპზე შეწყდა. ექსპერიმენტი დედისთვის შვილის წართმევას და ბავშვის სრულ მარტოობაში გაზრდას გულისხმობდა. მაიმუნების შემთხვევაში, დედასთან დაბრუნებულ ნაშიერს სერიოზული ფსიქიკური აშლილობა გამოუვლინდა, ამიტომ ექსპერიმენტი დროზე ადრე დასრულდა.

3. მილგრემის ექსპერიმენტი (1974)

მილგრემის ექსპერიმენტის მიზანი იყო დაედგინა, რამდენად დიდი ტანჯვის მიყენება შეუძლიათ ადამიანებს სხვა, უდანაშაულო ადამიანებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ეს მათი პროფესიული მოვალეობაა. ექსპერიმენტში მონაწილეობდა მკვლევარი, ექსპერიმენტის მონაწილე „მასწავლებელი“ და ესპერიმენტში მონაწილე „მოსწავლე“. „მასწავლებელს“ განუმარტეს, რომ ექსპერიმენტის მთავარი მიზანი ინფორმაციის დამახსოვრების ახალი მეთოდების აღმოჩენა იყო, თუმცა მალე უბრალო ექსპერიმენტი წამებად იქცა. „მოსწავლეს“ მოცემული სიიდან სიტყვები უნდა დაემახსოვრებინა, „მასწავლებელს“ კი მისი მეხსიერება უნდა შეემოწმებინა და შეცდომის შემთხვევაში, დენის დარტყმით დაესაჯა. თანაც ყოველ ჯერზე დენის სიმძლავრე უნდა გაეზარდა.

(ამ შემთხვევაში „მასწავლებლების“) შეწინააღმდეგებოდნენ ხელმძღვანელს (მკვლევარს), რომელიც ავადლებულებდა „მუშაობის“ გაგრძელებას მიუხედავად იმისა, რომ „მოსწავლეს“ ზიანი ადგებოდა. ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ ადამიანის ცნობიერში ღრმად არის გამჯდარი ავტორიტეტების მორჩილება, შინაგანი კონფლიქტისა და მორალური დილემის შემთხვევაშიც კი.

4. შეძენილი უმწეობა (1966 წ.)

ფსიქოლოგებმა მარკ სელიგმანმა და სტივ მაიერმა ეს სასტიკი ექსპერიმენტი ადამიანების ოთხფეხა მეგობრებზე ჩაატარეს. ძაღლები სამ ჯგუფად დაყვეს. პირველი ჯგუფისთვის არაფერი დაუშავებიათ, მეორე ჯგუფის ძაღლებს დენს ურტყამდნენ, მაგრამ ამის შეჩერება ბერკეტზე თათის დაჭერით შეიძლებოდა, მესამე ჯგუფს კი ყველაზე მეტად არ გაუმართლა — მათ დანის დარტყმის აცილება არ შეეძლოთ და იტანჯებოდნენ. რაღაც დროის შემდეგ მესამე ჯგუფის გალიები გაიხსნა, მაგრამ არცერთ ძაღლს გამოსვლა არ უცდია — ისინი ტანჯვას აღიქვამდნენ როგორც გარდაუვალ სასჯელს.

5. როცა შეძახილმა ხე გაახმო (1939 წ.)

აიოვას უნივერსიტეტის პროფესორმა ვენდელ ჯონსონმა თავის კურსდამთავრებულთან, მერი ტუდორთან ერთად ობოლ ბავშვებზე სასტიკი ექსპერიმენტი ჩაატარა. 22 ბავშვი ორ ჯგუფად გაყვეს. ერთ ჯგუფში შემავალ ბავშვებს ეუბნებოდნენ, რომ მათი მეტყველება უნაკლოა, მეორე ჯგუფში შემავალ ბავშვებს კი არწმუნებდნენ, რომ ბორძიკით ლაპარაკობენ და საშინელი ენაბლუობა აქვთ. სინამდვილეში ყველა ბავშვი კარგად საუბრობდა, მაგრამ მეორე ჯგუფის ბავშვებს განუვითარდათ ენაბლუობა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვათ.

6. „პატარა ალბერტი“ (1920 წ.)

ამ ექსპერიმენტის ავტორი ფსიქოლოგიის დოქტორი ჯონ უოტსონი გახლდათ. 9 თვის ალბერტს ორი თვის განმავლობაში სათამაშოდ აძლევდნენ თეთრ სათამაშო ვირთხას, სათამაშო თეთრ კურდღელს, ბამბას, სანტა კლაუსს და ა.შ. 2 თვის შემდეგ, როდესაც ბავშვი სათამაშოებს კარგად შეეჩვია, სათამაშო ვირთხასთან შეხების დროს ბავშვის ზურგსუკან განგაშის სიგნალი ირთვებოდა. საბოლოოდ, ალბერტს არა მხოლოდ

თეთრი ვირთხის, არამედ თეთრი კურდღლის, ბამბის და სანტა კლაუსის მიმართ ფობია ჩამოუყალიბდა, რაცმთელი ცხოვრება სტანჯავდა.

7. ლენდისისის ექსპერიმენტი (1924 წ.)

1924 წელს მინესოტის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, კარნი ლედისმა, ჩაატარა ექსპერიმენტი, რომ დაედგინა, იწვევდა თუ არა განსხვავებული ემოციები სახის მხოლოდ ამ ემოციისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ გამომეტყველებას. კვლევის მიზანი იყო იმის დადგენა ექნებოდა თუ არა სხვადასხვა ადამიანს ერთი და იგივე ემოციის (შოკის, სიძულვილის, ბედნიერების და ა.შ) განცდისას ერთი და იგივე სახის გამომეტყველება!

ექსპერიმენტში მონაწილეების უმეტესობას სტუდენტები შეადგენდნენ. მათ სახე შავი ზოლებით მოუხატეს, რათა კუნთების მოძრაობა უკეთ დაენახათ. სტუდენტებს აყურებინებდნენ პორნოგრაფიას, ასუნთქებინებდნენ ამიაკს და ბაყაყებით სავსე ვედროში ხელს აყოფინებდნენ, მაგრამ ყველაზე ცუდი იყო ცოცხალი ვირთხისთვის თავის მოჭრა. სტუდენტები ცდილობდნენ, რომ დავალების შესრულების დროს პატარა ცხოველები არ ეწამებინათ, მაგრამ ისინი სიცოცხლეს წრიპინით ემშვიდობებოდნენ. მათ ნაცვლად, ვინც ვირთხისთვის თავის მოჭრაზეუარი თქვა, დავალებას თავად ლენდისი ასრულებდა. სწაბოლოოდ ექსპერიმენტმა არ გაამართლა ვარაუდი, რომ ერთნაირი ემოციების განცდისას ადამიანებს სახის ერთნაირი გამომეტყველება აქვთ, სამაგიეროდ აჩვენა, რომ მათ შეუძლიათ ყველანაირი საშინელების ჩადენა თუ ამას სიტუაცია მოითხოვს.

8. სტენფორდის ციხის ექსპერიმენტი (1971 წ.)

ფსიქოლოგმა ფილიპ ზიმბარდომ ფსიქოლოგიის განყოფილების სარდაფში ციხის ძალიან რეალისტური იმიტაცია შექმნა და 24 მოხალისე სტუდენტი “პატიმარებად” და “ბადრაგებად” დაჰყო. თავიდან სტუდენტები დაიბნენ, მაგრამ ექსპერიმენტის მეორე დღეს ყველამ თავისი როლი მოირგო. მალე „პატიმრების“ ამბოხება „ბადრაგებმა“ სასტიკად ჩაახშეს. თანდათან კონტროლის სისტემა იმდენად გამკაცრდა, რომ „პატიმრებს“ მარტო ტუალეტშიც კი არ ტოვებდნენ. წაიღო. როდესაც “პატიმრებს” სახელები ჰკითხეს, ბევრმა მათგანმა თავისი ნომერი დაასახელა. „პატიმრები“ ისე შეეჩვივნენ თავიანთ როლებს, რომ თავს უკვე ნამდვილი ციხის ტუსაღებად გრძნობდნენ, ხოლო „ბადრაგებს“ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც რამდენიმე დღის წინ მათი მეგობრები ერქვათ, სადისტური ემოციები გაუჩნდათ. ექსპერიმენტი ორ კვირაზე იყო გათვლილი, მაგრამ ეთიკური მიზეზების გამო ვადაზე ადრე შეწყდა.

მოამზადა
ნელი თორდია
571 35 36 88

სტამბოლის ვარდი

თანსუ ჩილერი – მამაკაცების საყვარელი მდიდარი ქალბატონი, რომლის დედაც სიღარიბეში ცხოვრობდა

თანსუ ჩილერი პირველი და დღეისათვის ერთადერთი ქალია, რომელსაც თურქეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც თავისუფლად საუბრობდა რამდენიმე ენაზე, ის პოლიტიკოსი იყო, რომელმაც შეძლო თურქეთის პრესტიჟის მნიშვნელოვნად ამაღლება საერთაშორისო არენაზე.

როდესაც აშშ-ის 42-ე პრეზიდენტმა აშშ-თურქეთის პირველი ერთობლივი პრესკონფერენციის მონაწილეებს თანსუ ჩილერი წარუდგინა, ის ასე დაახასიათა: „ბატონებო და ქალბატონებო, დღეს პატივად მხვდა მივესალმო

პრემიერ-მინისტრ ჩილერს ვაშინგტონში. ის კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან, ბევრჯერ ყოფილა აქ. ჩვენ გადავწყვიტეთ ერთად მუშაობა, რათა განვამტკიცოთ ჩვენი ურთიერთობები და პარტნიორობა ამერიკასა და თურქეთს შორის“.

თანსუ ჩილერი ყოველთვის მოსწონდათ მამაკაცებს — ლამაზი ინტელიგენტური, განათლებული, თამამი. „ერთ-ერთი პირდაპირი ტელედებატების დროს მან განაცხადა: „მე არასოდეს წამიგია არც ერთი დიდი ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობა მიმიღია“. ცხრა დღით ადრე ის კონსერვატიული პარტიის ლიდერი გახდა.

„დედა მოვიდა“. თანსუ ჩილერი სტამბოლში დაიბადა საშუალო კლასის ოჯახში. მისი მამა ჟურნალისტი იყო, შემდეგ კი პროვინცია ბილეჯიკის გუბერნატორი გახდა. მშობლებმა შვილს კარგი განათლება მისცეს. მან ჯერ ამერიკული ქალთა კოლეჯის ეკონომიკის სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი სტამბულის ბოსფორის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ამის შემდეგ თანსუ ამერიკაში გაემგზავრა და კონექტიკუტის უნივერსიტეტის საკანდიდატო ხარისხი მოიპოვა, შემდეგ კი იელის უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა.

გარდა ამისა, მომავალი პოლიტიკოსი ეკონომიკაში ლექციებს კითხულობდა პენსილვანიის შტატის ფრანკლინისა და მარშალის კოლეჯში, ლანკასტერში. ამის შემდეგ ის სტამბოლში დაბრუნდა და ქვეყნის ყველაზე პრესტიჟული, ბოსფორის უნივერსიტეტის ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი გახდა 36 წლის ასაკში.

დიდ პოლიტიკაში ფეხი 1990 წელს შედგა, სამი წლის შემდეგ კი ქვეყანას ჩაუდგა სათავეში. მის პოლიტიკურ დამრიგებლად პოლიტიკაში სულეიმან დემირელის მიიჩნევენ, რომელსაც მამას ეძახდა.

დასავლეთის მედიასაშუალებები თანსუ ჩილერის შესახებ. საერთაშორისო ურთიერთობებში გამოცდილების არქონა ჩილერს ხელს არ უშლიდა კარგი ურთიერთობები დაემყარებინა ევროპის ქვეყნების ლიდერებთან: მან მიიღო პირადი მიწვევა პარიზში სტუმრობისას საფრანგეთის პრეზიდენტისგან ფრანსუა მიტერანისგან და ლონდონში — მარგარეტ ტეტჩერისგან.

ჩილერის მმართველობის პერიოდში თურქეთი ძალიან დაუახლოვდა ევროკავშირს. ანკარამ და ბრიუსელმა ხელი მოაწერეს საბაჟო ხელშეკრულებას. თანსუმ იმასაც მიაღწია, რომ აშშ-მ და ევროპამ ქურთისტანის მუშათა პარტია ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანეს.

მის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად მიიჩნევა თურქეთის არმიის მოდერნიზება. მანამდე თურქი ჯარისკაცები მეორე მსოფლიო ომისდროინდელ იარაღს გამოიყენებდნენ, ჩილერის დროს კი თურქეთის შეარაღებულმა ძალებმა თანამედროვე აღჭურვილობა მიიღეს.

სიმდიდრისკენ სწრაფვა. თანსუ ჩილერის პირადი ცხოვრებაც წარმატებული იყო. მომავალი ქმარი ჯერ კიდევ მოზარდობისას გაიცნო. სწორედ მან დაარწმუნა ის, რომ ქალის გვარზე გადასულიყო — ეზერ უჩურანი ეზერ ჩილერი გახდა. ამ ფაქტზე თურქეთში დღესაც კი მსჯელობენ.

ქმრისთვის რომ არ ეწყენინებინა, რომელსაც თურქეთში დასცინოდნენ, თანსუ ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ოჯახში ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ეზერი იღებდა.

თავად ეზერი კეთილშობილი ოჯახიდანაა. მისი წინაპარი სულეიმან დიდებულის მმართველობის დროს ისლამური ლიდერი იყო.

თავიდან მამაკაცი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი კერძო ბანკის – Istanbul Bankasi-ს გენერალური დირექტორი იყო. ეზერი ბიზნესით დაკავდა. საზოგადოებამ მალე მიაქცია ყურადღება იმას, რომ ჩილერები მულტიმილიონერები გახდნენ. პრემიერ-მინისტრი ამტკიცებდა, რომ მილიონ დოლარზე მეტი ფული და ოქრო მას დედისგან ერგო მემკვიდრეობით, რომელიც 1995 წელს გარდაიცვალა.

მაშინ ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს სახლი, სადაც მუაზეზ ჩილერი ცხოვრობდა, ესაუბრნენ მეზობლებს, რომლებმაც სულ სხვა ამბები უამბეს. მეზობლების თქმით, თანსუ ყოველთვის გემოვნებით იცვამდა და ამაში ბევრ ფულს ხარჯავდა. ამ დროს კი მისი დედა ძალიან ღარიბად ცხოვრობდა სტამბოლის ბინაში, ამდენად, ის ამდებ ფულს ვერ მოაგროვებდა.

„თანსუს დედა ავადმყოფობდა და ცუდად იკვებებოდა. ჩვენ მას ყველაფერში ვეხმარებოდით — მაღაზიაშიც დავყვებოდით, სახლის დალაგებაშიც ვეხმარებოდით და საჭმლის მომზადებაშიც, რადგან დამხმარის აყვანის საშუალება მას არ ჰქონდა და რადგან ქირას დროულად ვერ იხდიდა, სახლის მეპატრონესთანაც მუდმივად პრობლემები ჰქონდა“, — უთხრეს ჟურნალისტებს მეზობლებმა.

მერე სხვა უსიამოვნო ფაქტებიც გამჟღავნდა. აღმოჩნდა, რომ პრემიერი და მისი მეუღლე არიან უძრავი ქონების მფლობელები როგორც თურქეთში, ასევე აშშ-ში. მაგალითად, წყვილმა 1992 წელს შეიძინა მდიდრული ვილა ნიუ-შემფშირში, რომლიც ღირებულება 1,5 მლნ დოლარია. გარდა ამისა, აშშ-ში ჩილერებს დიდი სავაჭრო ცენტრი აქვთ. დადიოდა ხმები, რომ თანსუ ამერიკის მოქალაქეა, მაგრამ თავად ჩილერი ამას უარყოფდა.

„ვარდი დაჭკნა“. პოლიტიკოსი ქვეყნის მმართველობის პერიოდში (1993–96 წწ.) სახელმწიფო თანხების უკანონოდ მითვისებაში დაადანაშაულეს. გამოძიების მსვლელობისას საპარლამენტო კომისიამ გაასაჯაროვა კონფიდენციალური საგადასახადო დეკლარაციები და საფინანსო დოკუმენტები, რომლებიც თანსუ ჩილერმა ნებაყოფლობით წარმოადგინა.

კომისიამ დაადგინა, რომ პრემიერ-მინისტრს არავითარი უკანონობა არ ჩაუდენია. სისხლის სამართლის დევნას მის მიმართ შეწყდა და ყველა ბრალდება მოეხსნა.

მოგვიანებით, ჩილერი კვლავ დაადანაშაულეს კორუფციაში, კერძოდ, თურქეთის საიდუმლო ფონდიდან 50 მილიონი დოლარის გაქრობაში. ამის დამადასტურებელი ფაქტებიც ვერ აღმოაჩინეს. თანამდებობიდან თანსუ ჩილერი მხოლოდ 1997 წელს გაათავისუფლეს სამხედრო გადატრიალების შედეგად.

თანამემამულეები მას სტამბოლის ვარდს უწოდებდნენ — ლამაზს, მაგრამ ეკლიანს. თუმცა კორუფციული სკანდალების გამო თურქებს მასზე საუბარი არ უყვართ. „ვარდი დაჭკნა“, — თვლიან ისინი.

თანსუ ჩილერის ამჟამინდელი ცხოვრების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. ის ბოსფორის სანაპიროზე ცხოვრობს ოჯახთან ერთად. იმ რაიონში სახლების ფასი 10-დან 100 მილიონ დოლარამდე მერყეობს.

თანამედროვე სახლები ოსმანური ეპოქის სასახლეების გვერდით მდებარეობს.

თანსუ ჩილერის მეზობლები არიან მდიდარი ბიზნესმენები, ცნობილი მსახიობები, კომპოზიტორები და მომღერლები. ყველაზე მდიდრული სახლი ყატარელ ბიზნესმენს აბდულჰადი მანა ალ-ჰაჯრის ეკუთვნის, რომელიც 2015 წელს 106 მილიონ დოლარად შეიძინა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღლავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99